გაზეთი ბეჭდავს, „ვერსია“ ეხმიანება

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№39 (1065) 8 – 9 აპრილი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

პრემიერის მიმართვა პოლიციას

გვ. 2

ექსკლუზიური ინტერვიუ გიორგი ქადაგიძესთან

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ყველა ბრალდებას პასუხობს

გვ. 3–4

„არ მგონია, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის იმპიჩმენტს სერიოზულად განიხილავდნენ, მაგრამ პირადად, ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ამ საკითხზე მხოლოდ მეღიმება“

გვ. 5

„ბიძინა პოლიტიკაში არ უნდა დაბრუნდეს – კერპების გარეშე უნდა ვისწავლოთ ცხოვრება!“

რატომ აირჩიეს კომიტეტის თავმჯდომარედ, როგორ აფასებს ივანიშვილის გადაცემას 20/30 და ვინ „დაღუპა“ თემურ ჭკუასელი

პოლიციელების მკვლელების „ჯოჯოხეთი“ ზონაზე გადაყვანამდე

ეროვნული ბანკი

ვენაში, 50 ბინის ძარცვის გამო, საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს

ქართველი მძარცველის აღიარებითი ჩვენება

ლევან ხვედელიძე, „ვერსიისთვის“ ავსტრიიდან

გვ. 8

Fahnder des LKA klären 50 Coups auf

Einbrecher-Duo gefasst: 400.000 Euro erbeutet

Zwei gefasste Einbrecher haben bei 50 Straftaten 400.000 Euro Schaden angerichtet.

Wien. Die beiden Berufseinbrecher aus Georgien (33 und 46) wurden bei einem ihrer Coups in Wien-Penzing auf frischer Tat ertappt und von der Polizei festgenommen.

Im Zuge der Ermittlungen durch Beamte des LKA West legte der jüngere der beiden schließlich ein umfassendes Geständnis ab. Demnach haben die beiden Profis seit 2013 fast 50 Einbrüche im Großraum Wien verübt. Der angerichtete Schaden und die Beute belaufen sich auf 400.000 Euro. Weitere Einbrüche durch das Duo sind nicht ausgeschlossen.

როგორ მოვექცეთ აგრესიულ ბავშვს

გვ. 7

თიბისი ბანკი
TBC BANK

გვ. 2

ოფიციალური განცხადება

ყვავილების გამყიდველი მარინას დაკარგული 250 ლარი და აუხდენელი ოცნებები

პრემიერმა და შს მინისტრმა დაჭრილი პოლიციელი მოინახულეს და გარდაცვლილის ოჯახს მიუსამძიმრეს

„მივმართავ ყველა პოლიციელს, იმოქმედეთ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, თქვენ გაქვთ კანონით მინიჭებული უფლება, დაიცვათ უსაფრთხოება და პირველ რიგში, საკუთარი სიცოცხლე“, – ასე მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი ღარიბაშვილმა** საქართველოს ყველა პოლიციელს და გახარებულმა ისიც აღნიშნა, რომ საბედნიეროდ, უფლის შეწევნით, 4 აპრილს, მეტროსადგურ „ვარკეთილთან“ მომხდარი ინციდენტის დროს დაჭრილი პოლიციელი ვალერიან გრძელიშვილი სიკვდილს გადაურჩა: **„დაჭრილი პოლიციელის მდგომარეობა სტაბილურია, ოპერაციამ კარგად ჩაიარა. დიდი მადლობა ექიმებს, რომ 6-საათიანი ოპერაციის შემდეგ შეძლეს მისი გადარჩენა. იმედია, სტაბილურად წარიმართება მკურნალობა“.**

დაჭრილი პოლიციელის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია, ირაკლი ღარიბაშვილმა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ, ვახტანგ გომელაურთან ერთად, პირველ კლინიკურ საავადმყოფოში, პირადად მიიღო. ღარიბაშვილმა და გომელაურმა პოლიციელი პირადად მოინახულეს, მისი ოჯახის წევრებსაც შეხვდნენ და ექიმებსაც გაესაუბრნენ. ექიმის თქმით, ვალერიან გრძელიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა და მისი გადარჩენისთვის ყველაფერი კეთდება.

შინაგან საქმეთა მინისტრი და პრემიერი, ამავე ინციდენტის დროს გარდაცვლილი პოლიციელის, ბექა მარგოშვილის ოჯახშიც მივიდნენ და ოჯახის წევრებს პირადად მიუსამძიმრეს. **„მწუხარებას გამოვთქვამ პოლიციელის გარდაცვალების გამო და ვუსამძიმრებ მის ოჯახს. ძალიან მძიმე სანახავი იყო მისი მცირეწლოვანი შვილი, რომელიც მამის გმირობაზე ოცნებობდა. ეს არის ტრაგედია ჩვენთვის და მინდა, გულით მივუსამძიმრო შინაგან საქმეთა სამინისტროს, ყველა თანამშრომელს ღირსეული პოლიციელის დაკარგვის გამო. მომხდარი ყოვლად ამაზრზენია. სიტყვები არ მყოფნის ამ არაადამიანური ქმედების შესაფასებლად. კრიმინალმა ჯერ ბორჯომში მოკლა ერთი პოლიციელი, ახლა მეორე. ეს არის სახელმწიფოს წინააღმდეგ გალაშქრება და მასზე ხელის აღმართვა“,** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი ღარიბაშვილმა.**

შინაგან საქმეთა მინისტრ **ვახტანგ გომელაურის** განცხადებით კი: **„გამოძიება, ასე ვიტყოდი, თითქმის დამთავრდა და პროკურატურა გააკეთებს ამ განცხადებას. ეჭვმიტანილის ძებნის აქცია მიმდინარეობს მთელი საქართველოს მასშტაბით — თბილისშიცა და რეგიონებშიც. გავავრცელეთ მისი სურათი. თუ მოქალაქეებთან სადმე აღმოჩნდება, დაგვირეკავენ და დაგვეხმარებიან. ახლაც გააქტიურებულები ვართ და მის საპოვნელად უფრო მეტად ჩავრთავთ სხვადასხვა დეპარტამენტს — კრიმინალური პოლიცია, სუს-ი, კონტრდაზვერვა... ყველა ძალას გამოვიყენებთ“.**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეჭვმიტანილის — შალვა აბულაძის ფოტო გამოაქვეყნა და საზოგადოება გააფრთხილა, გამოიჩინონ სიფრთხილე, ვინაიდან იგი შეიარაღებულია. **„ასევე, საზოგადოებას ვთხოვთ, თუ გააჩნია ინფორმაცია შალვა აბულაძის ადგილსამყოფელის შესახებ, დაგვიკავშირდნენ ცხელი ხაზის მეშვეობით (2 405222), კონფიდენციალობა დაცული იქნება“,** — აცხადებენ შსს-ში.

შსს-ს ისანი-სამგორის სამმართველოს მე-8 განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი ბექა მარგიშვილი და დეტექტივის თანაშემწე — გამომძიებელი ვალერიან გრძელიშვილი 4 აპრილს, საღამოს საათებში, თბილისში, მეტროსადგურ „ვარკეთილთან“, ჯავახეთის ქუჩაზე, სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებდნენ, რა დროსაც მათ, გადამოწმების მიზნით, შალვა აბულაძე შეაჩერეს. შალვა აბულაძემ, მოულოდნელად, პოლიციელების მისამართით ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გახსნა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სროლის შედეგად ორივე სამართალდამცველი დაიჭრა. მიყენებული ჭრილობების შედეგად, ბექა მარგიშვილი საუნივერსიტეტო კლინიკაში გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა. ვალერიან გრძელიშვილს სამედიცინო დახმარება პირველ კლინიკურ საავადმყოფოში უტარდება. მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებები შალვა აბულაძის დაკავების მიზნით. გამოძიებას ქალაქ თბილისის პროკურატურა აწარმოებს.

გავრცელებული ინფორმაციით შალვა აბულაძე 1977 წელსაა დაბადებული. იგი 2015 წლის 23 იანვარს, ბორჯომში, პოლიციის თანამშრომლების, გიორგი ბერუაშვილის მკვლელობისა და გიორგი მახარაშვილის მკვლელობის მცდელობისთვის იძებნებოდა. პროკურატურის ინფორმაციით, აბულაძე წარსულში არაერთგზისაა ნასამართლევი, მათ შორის ყაჩაღობისა და მკვლელობის მცდელობისთვის.

შალვა აბულაძის დის, სალომე აბულაძის ინფორმაციით, ეჭვმიტანილთან ოჯახს ურთიერთობა გასული წლის ივლისის შემდეგ აღარ აქვს და **„ოჯახი ამ სიბინძურესა და საშინელებას ემიჯნება“.**

პრემიერ-მინისტრი რუმინეთის თავდაცვის მინისტრს შეხვდა

ირაკლი ღარიბაშვილისა და მირჩა დუშას შეხვედრის მთავარი თემები საქართველო-რუმინეთის თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში, ნატო-სა და ევროკავშირთან ურთიერთობა იყო.

რუმინეთის თავდაცვის მინისტრმა საქართველოს მთავრობის მეთაურს, რუმინელი კოლეგის, ვიქტორ პონტას მოკითხვა გადასცა და აღნიშნა, რომ საქართველოში ვიზიტით მოხარულია.

მხარეებმა ისაუბრეს რიგის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტსა და მასთან დაკავშირებულ მოლოდინზე. პრემიერმა განაცხადა, რომ საქართველო განუხრელად მიჰყვება ევროპული ინტეგრაციის კურსს, რაც საერთო ეროვნულ არჩევანს წარმოადგენს.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ეფექტური იმპლემენტაციის მნიშვნელობას. ირაკლი ღარიბაშვილმა რუმინეთის თავდაცვის მინისტრს პროცესში აქტიური ჩართულობისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. მთავრობის მეთაურმა შეხვედრისას ასევე ისაუბრა რუსეთთან დეესკალაციის პოლიტიკაზე, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის პარალელურად, ახორციელებს და აღნიშნა, რომ პოზიტიური დინამიკა ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ ურთიერთობებში, პოლიტიკურ ვითარებას არ ცვლის.

ირაკლი ღარიბაშვილმა კიდევ ერთხელ გამოთქვა შეშფოთება რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმებთან „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ ე.წ. შეთანხმებების ხელმოწერასთან დაკავშირებით. მხარეებმა ასევე განიხილეს რეგიონში არსებული ვითარება და უკრაინაში განვითარებული მოვლენები.

შეხვედრის დასასრულს, ირაკლი ღარიბაშვილმა რუმინეთის თავდაცვის მინისტრი მოიწვია საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციაზე, რომელიც ბათუმში 25-27 ივნისს გაიმართება.

„პირველი“

თიბისი ბანკის ოფიციალური განცხადება

პირველ რიგში, სამძიმარს ვუცხადებთ დაღუპული პოლიციელის ოჯახს!

ამასთან ერთად, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტის, დომენტი ჩუბინიძის ცილისმწამებლურ განცხადებასთან დაკავშირებით, თიბისი ბანკის მრავალათასიანი გუნდის სახელით, გვინდა, გავაკეთოთ ოფიციალური განცხადება ბოლო პერიოდში მომხდარ მოვლენებზე.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, არც მამუკა ხაზარაძეს და არც კომპანია „ბორჯომის“ წარმომადგენლებს არ ჰქონიათ კონტაქტი პოლიციელების მკვლელობაში ეჭვმიტანილ შალვა აბულაძესთან და საერთოდ არ იცნობენ მას. მეტიც — რამდენიმე წელია მამუკა ხაზარაძე აღარ არის კომპანია „ბორჯომის“ აქციონერი და არ მონაწილეობს მის მართვაში, ამიტომ გაუგებარია, ამ კრიმინალის მიერ ორგანიზებული აქცია ბორჯომში რატომ იქნა დაკავშირებული მამუკა ხაზარაძესთან.

შეგახსენებთ, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით, გაზეთ „ასავალ-დასავალს“ და ჟურნალისტებს უკვე დაეკისრათ საკუთარ გაზეთში გამოქვეყნებული ცრუ-ბრალდებების უარყოფა. ამის ნაცვლად ისინი კვლავ აქტიურად განაგრძობენ პროვოკატორულ ცილისწამებას!

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული კამპანია მიზნად ისახავს ბანკის, მისი დამფუძნებლებისა და თანამშრომლების დისკრედიტაციას! ასევე, „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი დომენტი ჩუბინიძე კრიმინალთან თავისი ახლო კავშირით, რეალურად, ახალ სამიზნეს უქმნის მკვლელობაში ეჭვმიტანილ და ძებნილ პირს. ეს აღმაშფოთებელი და საგანგაშო ფაქტია!

მოვუწოდებთ შესაბამის ორგანოებს, გამოიძიონ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტისა და კრიმინალური წარსულის მქონე პირების კავშირი, რათა წერტილი დაესვას ასეთ განუკითხაობასა და დაუსჯელობას!

ექსკლუზიური ინტერვიუ გიორგი ქადაგიძესთან

მაია მიშელაძე, 593-51-90-12

ამბობს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი აღიარებულია ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, ოღონდ არიან ცალკეული ექსპერტები, რომლებსაც ამის დადასტურება უჭირთ. რას ვიზამთ, ხშირად მოთხოვნა ყვითელ ნიუსზე, სკანდალზე, საბოტაჟსა და შეთქმულების თეორიაზეა, ამიტომ წინა პლანზე იწევენ ის ექსპერტები და ანალიტიკოსები, რომლებიც ამგვარ თეორიებს ავითარებენ. თუმცა, თავს იმით იმშვიდებს და ჩვენც გვამშვიდებს, რომ დროთა განმავლობაში, ამ ტიპის ექსპერტთა რაოდენობა შემცირდება... 2016 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ვადა ამოეწურება. ჯერ არ იცის, რას გააკეთებს 2016 წლის შემდეგ, რადგან ამბობს, რომ ამ ეტაპზე, ამაზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ ზუსტად იცის, ერთ თვეში პარლამენტის წინაშე ანგარიშით უნდა წარსდგეს. ექსკლუზიურად გვიმხელს, რომ ეს იქნება ყველაზე განსხვავებული ანგარიში, რომელშიც მიმოიხილავს ეროვნული ბანკის საქმიანობას 7 წლის განმავლობაში. იმის გამო, რომ ეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბოლო ანგარიში იქნება, გაცილებით თავისუფლად შეაფასებს იმ ეკონომიკურ გამოწვევებს, რომლის წინაშეც ქვეყანა დგას. თავისუფლად ისაუბრებს მიღწევებზე, შეცდომებსა და იმაზეც, რა უნდა გაკეთდეს მომავალში. ლარის გადარჩენის ეკონომიკურ რეცეპტსაც სწორედ ერთ თვეში, საკანონმდებლო ორგანოში, წლიური ანგარიშის პარალელურად „გამოწერს“, მანამდე კი, „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე, ღიად და დაუფარავად პასუხობს ყველაზე მწვავე ოპონენტსა და ბრალდებებს, რომლებიც ბოლო დროს, მისი მისამართით ისმის.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ყველა ბრალდებას პასუხობს

— ბატონო გიორგი, როგორ შეაფასებთ საქართველოს ეკონომიკას, რა სჭირს და რა ეშველება ლარს?

— ამ საკითხზე ბევრი განცხადება გაკეთდა, მაგრამ მარტივი ფორმულირებით აგიხსნით, რასთან გვაქვს საქმე: გვაქვს, დაახლოებით, 8.2 მილიარდი დოლარის იმპორტი, 4 მილიარდი დოლარის ექსპორტი, უარყოფითი სავაჭრო დეფიციტი 4-დან 4.5 მილიარდ დოლარამდეა, რომელიც ყოველწლიურად უნდა დავაფინანსოთ. დაფინანსების სამი ძირითადი წყარო არსებობს, ტურიზმი — 1.5 მილიარდი დოლარი, ფულადი გზავნილები — 1.4 მილიარდი დოლარი, ინვესტიციები და სესხები. თუ ეს წყაროები შენარჩუნებულია, პრაქტიკულად, უარყოფითი სავაჭრო ბალანსი დაფინანსებულია და შესაბამისად, კურსზე ზეწოლა არ არის. ბოლო 6 თვის განმავლობაში, ჩვენი ძირითადი უცხოური ფულადი ნაკადები — ექსპორტი, ტურიზმი, ფულადი გზავნილები შემცირდა, რაც ნიშნავს, რომ არ არსებობს იმავე ოდენობის იმპორტის დაფინანსების წყარო და კურსი ეცემა. ამას იმპორტის შემცირება უნდა მოჰყვეს და ახალი წერტილი ან ახალი ნიშნული გაჩნდეს. შემომავალი ნაკადების შემცირების ფონზე ისე, რომ კურსი არ გაუფასურდეს და ეკონომიკური ზრდაც გვქონდეს, ასეთი ფორმულა დედამიწაზე არ არსებობს! ამიტომ მივიღეთ ის პროცესი, რაც გვაქვს სახეზე და აქ არსებითი მნიშვნელობა უკვე იმას ენიჭება, როგორ აღვადგინოთ შემომავალი ფულადი ნაკადები. გასაგებია, მყისიერი გავლენა ვერ გვექნება გზავნილებსა და ექსპორტზე, თუმცა ინვესტიციებზე, ტურიზმსა და დამატებით წყაროებზე ანუ პრივატიზებაზე გავლენა შეგვიძლია. აი, ეს არის მარტივად, რაც ხდება საქართველოს ეკონომიკაში.

— ლარის კურსის დევალვაციის პროცესში, ექსპერტებიცა და ხელისუფლების წარმომადგენლებიც ისრებს ეროვნული ბანკისა და პირადად, თქვენი მისამართით ისროდნენ. განვმარტოთ, კანონით რა როლი აქვს ამ პროცესში ან პროცესის დასარეგულირებლად ეროვნულ ბანკსა და მის ხელთ არსებულ ინსტრუმენტებს?

— კანონით, ჩვენი საკონსტიტუციო მანდატი ფასებისა და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაა. ორივე მანდატს ზედმიწევნით კარგად ვასრულებთ, მაგრამ არ ნიშნავს, რომ ამ პროცესს ვემიჯნებით — მუდმივად ვცდილობთ, გვქონდეს კოორდინაცია მთავრობასთან, გავაცნოთ ჩვენი ხედვები, ვურჩიოთ, რა არის გასაკეთებელი, როგორ და რა სისწრაფით უნდა გაკეთდეს. თუმცა ამ პროცესში ეროვნულ ბანკს, მხოლოდ და მხოლოდ, მრჩევლის სტატუსი აქვს, რადგან ეკონომიკურ პოლიტიკას არ წარმართავს.

— 2014 წლის ზაფხულის ბოლოს ხომ იცოდით, რომ ტურისტების, ინვესტიციების რაოდენობა და ფულადი გზავნილები შემცირდა, რადგან რუსეთსა და უკრაინაში ომი და კრიზისია, საბერძნეთსა და თურქეთში — ეკონომიკური კრიზისი. ეს ყველაფერი ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრებმა და პრემიერ-მინისტრმაც იცოდნენ, ასეთი სირთულის წინაშე როგორ აღმოვჩნდით?

— ვფიქრობ, ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რა უნდა გააკეთოს ქვეყანამ, ხელისუფლებამ, რათა მაქსიმალურად სწრაფად დავძლიოთ არსებული გამოწვევები. განსაკუთრებით ის ადამიანები დაზარალდნენ, ვისაც სესხები დოლარში აქვთ აღებული. დაძლევა გულისხმობს, აღდგეს ფინანსური ნაკადების შემოდინება, რაც კურსზეც და რეალურ შემოსავლებზეც დადებით გავლენას მოახდენს და ადამიანებს სესხის მომსახურების ტვირთი შეუმსუბუქდებათ. რაც შეეხება მიზეზებს, ვიცოდით თუ არ ვიცოდით, დარწმუნებული ვარ, ეს საკითხი თქვენი გაზეთის მკითხველს ნაკლებად აინტერესებს, რადგან ეს უფრო პოლიტიკური და ექსპერტული წრეების შეფასებების ნაწილია. ახლა იმის დრო არ არის, ვარკვიოთ, რა, როგორ და რატომ მოხდა ან უნდა გვცოდნოდა თუ არა და ვისი ბრალი იყო. ახლა ძალიან სწრაფი და ეფექტური ნაბიჯების გადადგმის დროა.

— პრემიერმა კომერციულ ბანკებს სთხოვა, გადახედონ სესხებს, რომლებიც მოსახლეობას დოლარში აქვს აღებული, რათა შეიმუშაონ გრაფიკი ან შეღავათიანი პირობები. თქვენი ინფორმაციით, მუშაობენ ბანკები ამ საკითხზე?

— პირველ რიგში, როდესაც საბანკო სექტორზე ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ კომერციული ბანკები საკუთარი აქციონერების კი არა, მეანაბრეების თანხებს განკარგავენ. არსებობს გარკვეული ლიმიტი, რომლის იქითაც შეუძლებელია, მოთხოვნები დავუწესოთ ბანკებს ისე, რომ ეს უფრო დიდ პრობლემებში არ გადაიზარდოს მომავალში ან ფინანსური სტაბილურობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგეს. ამ ლიმიტის ფარგლებში, მივმართეთ ბანკებს და ვუთხარით, რადგან დაახლოებით, 30%-იანი გაუფასურება გვაქვს, თქვენი შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად მოქნილები იყავით სესხის რესტრუქტურიზაციის, სხვადასხვა გრაფიკის დროს და ასე შემდეგ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ ეს არის რაიმე ფორმით პრობლემის გადაწყვეტა ან ეს მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს ტვირთს. მეტიც, თუ ეს კურსი შენარჩუნდება სესხების გადახდის ვადის ბოლომდე, ნიშნავს, რომ მომხმარებელი მეტს გადაიხდის საპროცენტო ხარჯის სახით. თუმცა მოკლევადიან პერსპექტივაში, როდესაც ასეთი გამოწვევები გვაქვს და ვიდრე ფუნდამენტური საკითხები არ გადაიჭრება, ასეთი ტიპის შეღავათებიც მნიშვნელოვანია ადამიანებისთვის, რათა მათი ყოველთვიური გადასახადი სესხის მომსახურებაში მნიშვნელოვნად არ გაიზარდოს. აქ კიდევ ერთი რამაა ნიშანდობლივი — ბანკებისგან განსხვავებით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ლომბარდებისა და სხვა არარეგისტრირებული, არაფორმალური ფინანსური ინსტიტუტების პორტფელის თითქმის 100% დოლარშია და მათი საპროცენტო განაკვეთები გაცილებით მაღალია, ვიდრე საბანკო სექტორში. ეს სექტორი არ რეგულირდება ეროვნული ბანკის მიერ და იქ გაცილებით მწვავედ დგას ეს საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი უფლებამოსილება მათზე არ ვრცელდება, თქვენი გაზეთის საშუალებით, მივმართავ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, არსებული ვითარება გაითვალისწინონ და გააკეთონ სხვადასხვა ტიპის რესტრუქტურიზაცია.

— ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ინსტრუმენტია ინტერვენციები. ლარის კურსის გაუფასურება 2014 წლის ნოემბრიდან დაიწყო, მაგრამ ნოემბერსა და თებერვალში, ორი დიდი ინტერვენცია განახორციელეთ ანუ ჭარბი რაოდენობის სავალუტო რეზერვი — დოლარი გაყიდეთ, იყო თუ არა ეს სწორი ნაბიჯი?

— კიდევ ერთხელ, ხაზგასმით ვთქვათ, რომ იმ მარტივი ფორმულით, რომლითაც საუბარი დავიწყეთ და ესაა საგადამხდელო ბალანსი, დისბალანსის პირობებში, რეზერვების შემცირება ანუ ჩვენი სავალუტო მარაგის გამოტანა ბაზარზე და ამითი ჩანაცვლება შემცირებული ექსპორტის, გზავნილებისა და ტურიზმის, არამარტო არასწორი გადაწყვეტილება, არამედ წარმოუდგენლად მცდარია; მეტიც, სავალუტო რეზერვებით ჩანაცვლება კონტრპროდუქტიულია, რადგან, როგორც კი ეს ბალანსი ხელოვნურად, ინტერვენციების დახმარებით ნარჩუნდება ანუ კურსი არ უფასურდება, ნიშნავს, რომ ეს კურსი საბაზრო არ არის. როცა ბაზრის ჩვეულებრივი მონაწილეები ხედებიან, რომ კურსი არასაბაზროა, ისინიც კი, ვისაც უცხოური ვალუტის შესყიდვა არც კი სურდა, მაინც ყიდულობენ, რითაც მოკლე ვადაში, იმაზე მეტი მოთხოვნა წარმოიქმნება ბაზარზე, ვიდრე ჩვეულებრივ შემთხვევაში. აქ სპეკულაციაზე არაა საუბარი. თქვენ რომ იყოთ მეწარმე და ხედავდეთ, ლარის გაცვლითი კურსი ხელოვნურადაა შენარჩუნებული, რას გააკეთებთ? რა თქმა უნდა, გადაახურდავებთ ლარს დოლარში, რათა მინიმუმ, იგივე პოზიცია დაიტოვოთ და შემდგომში სავალუტო სარგებელი მიიღოთ. მაშინ რატომ ან როდის ვერევით ჩვენ?

> **იმის გამო, რომ პატარა, ღია ეკონომიკის ქვეყანა ვართ, შესაძლოა, მოკლე ვადაში, დიდი თანხების ერთობლიობამ დიდი რყევა გამოიწვიოს. ეს იყო ჩვენი ჩარევის მიზეზი, როგორც ნოემბერში, ასევე თებერვალში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, ამ ჩარევის მიზანი არ არის და ვერ იქნება არასაბაზრო კურსის გრძელვადიანი უზრუნველყოფა. მეტიც, რამდენიც უნდა იყოს მოთხოვნა, რომ რეზერვები დავხარჯოთ, რათა წონასწორობა შევინარჩუნოთ, არ გავაკეთებთ! ვიდრე მე და ჩვენი გუნდი ეროვნულ ბანკში ვართ, ეს არ მოხდება, რადგან ეს არის რეზერვების გაფლანგვა, ასეთი მიდგომა შეცდომა, არასწორი პოლიტიკა, პრობლემის შეფუთვა და ამ პრობლემის გადავადებაა.**

ეს დადასტურებულია ეკონომიკის ისტორიაში არაერთ ქვეყანაში, მაგალითად მექსიკაში, დიდ ბრიტანეთში, ახლახან მოლდოვასა და რეგიონის სხვადასხვა ქვეყნებში განვითარებული მოვლენებით. ხაზგასმით ვამბობ: იმისთვის, რომ არასაბაზრო კურსი დავიჭიროთ, რეზერვებს არ დავახარჯავთ, როგორიც უნდა იყოს თხოვნა, მოთხოვნა და კრიტიკაც კი!

— სწორედ ამის გამო, არაერთხელ გაგაკრიტიკეს და ბოლოს, თქვენს იმპიჩმენტზეც დაიწყეს საუბარი. ამაზე „ვერსია“ უკვე წერდა, მაგრამ კიდევ ერთხელ განმარტეთ, კანონიერი გზით შესაძლებელია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის იმპიჩმენტი?

— ეროვნულ ბანკზე მსგავსი ტიპის უსაფუძვლო შეტევა ქვეყნისთვის საზიანოა, რადგან გარეინვესტორებისა და მათთვის, ვისაც ჩვენი ევრობონდები, გაზის კორპორაციისა და რკინიგზის ფასიანი ქაღალდები უჭირავთ ხელთ და, რომლებიც ინსტიტუციური ინვესტორები არიან, ეს სერიოზული შფოთვის საგანია. ასეთი კრიტიკა ნიშანია, რომ ქვეყანა, ინსტიტუტების თვალსაზრისით, ადრეული განვითარების ეტაპზე იმყოფება. ეს ვნებს ქვეყანას, აფრთხობს ინვესტორებს, ამის კეთება არ შეიძლება. ეროვნული ბანკი ატარებს პოლიტიკას, რომელიც აღიარებულია ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, ყველა ხილული თუ უხილავი ჯილდო გვაქვს მიღებული და ამის საპირწონედ, ყოვლად უარგუმენტო კრიტიკა, თანაც საკმაოდ შორსმიმავალი იდეებით, რა თქმა უნდა, ქვეყნისთვის სასარგებლო არ არის.

> **არ მგონია, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის იმპიჩმენტს სერიოზულად განიხილავდნენ, მაგრამ პირადად, ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ამ საკითხზე მხოლოდ მეღიმება. ესაა ჩემი პასუხი იმპიჩმენტთან დაკავშირებით. ეროვნული ბანკის კონსტიტუციური იმუნიტეტი ზუსტად იმისთვის არსებობს, აქვს ძალიან მკაფიო ამოცანები, რომელიც უფრო მაღალი და საჯარო ინტერესის მატარებლად ითვლება. სწორედ ესაა დაცული, რაც ქვეყნის დემოკრატიულობის კიდევ ერთი ნიშანია.**

— ბატონო გიორგი, ზურაბ ადეიშვილის კადრად მიგიჩნევენ, რადგან წლების წინ, მთავარი პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი იყავით. იმასაც ამბობენ, რომ სწორედ ადეიშვილმა მოგიყვანათ და დაგნიშნათ ეროვნულ ბანკში, რამდენიმე ქართული ბანკის გასაკოტრებლად.

— 2000 წლიდან ყოველთვის ფინანსურ სექტორში ვმუშაობდი. 2006 წელს, ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის სამსახურის უფროსად დავინიშნე, რომან გოცირიძის პრეზიდენტობის დროს. ამის შემდეგ წავედი ეროვნული ბანკიდან და მთავარ პროკურატურაში, ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსად ვმუშაობდი, დაახლოებით, წელიწადნახევრის მანძილზე. იმ პერიოდში ბევრი ღირსეული ადამიანი გავიცანი და არ მიმაჩნია, რომ რაიმე ფორმით, ეს ჩემს კარიერაზე უარყოფით გავლენას ახდენს; შემდეგ ფინანსურ სექტორში დავბრუნდი. რაც შეეხება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტზე „დანიშვნას“, ჩემი კანდიდატურა საქართველოს პრეზიდენტმა წარადგინა და პარლამენტმა დაამტკიცა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მედიასაშუალებებს უყვართ შეთქმულების თეორიები და გამოგონილი ისტორიები, მსგავსი არაფერი ყოფილა.

> **ერთადერთი, რაც ნამდვილად მოხდა — 2006 წელს, როდესაც ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსად დავინიშნე, 20 ბანკი იყო ლიკვიდაციაში, მოქმედი ბანკი კი ამაზე ბევრად ნაკლები. ლიკვიდაციაში მყოფი ბანკი ნიშნავს იმ მემკვიდრეობას, რომელიც 90-იანი წლებიდან მივიღეთ — გაკოტრებული ბანკები და დაზარალებული მეანაბრეები. ვამაყობ, რომ ჩემი და ჩემი გუნდის მმართველობის პერიოდში, ჩვენმა მოსახლეობამ დაივიწყა, რას ნიშნავს გაქცეული ბანკი და დაკარგული ანაბარი. საბანკო სექტორის მიმართ ნდობა უპრეცედენტოდ მაღალია და მანამდე არსებული პრობლემები წარსულს ჩაბარდა.**

— აბა, რატომ ამბობენ, რომ სწორედ თქვენ გააკოტრეთ სახალხო ბანკი, სტანდარტბანკი, ინტელექტბანკი და ქართუ ბანკი. მართალია, თბილუნივერსალბანკის გაკოტრებასთან არავითარი კავშირი არ გაქვთ, მაგრამ მისი და ინტელექტბანკის გაკოტრების სქემები იდენტური იყო. სინამდვილეში, რა მოხდა ამ ბანკებთან დაკავშირებით?

— ორად გავყოთ ეს საკითხი. დავიწყოთ სტანდარტბანკით: სტანდარტბანკზე საერთოდ არ არსებობს სისხლის სამართლის საქმე და არანაირ გაკოტრებას ადგილი არ ჰქონია.

დასასრული მე-4 გვერდზე

ხავსი

ლევან სეფისკვერაძე

საოცარი მცენარეა ხავსი. ლამაზია, მწვანედ ხასხასებს, ათასგვარ მწერს კვებავს და, თუ საქმეს დასჭირდა, პოზიტივის მაძიებელთაც აძლევს მოჭიდების საშუალებას. „ხავსად“, შეიძლება, გამოდგეს გახსნილი სათბური, ქუჩაზე ამოვსებული რამდენიმე ორმო, ღიმილიანი მინისტრი და ჯიბრიანი სახით გაკეთებული განცხადებები, რომ ყველაფერი მაინც კარგად იქნება.

ჩვენი თანამოქალაქეების ერთი ნაწილი, მართლაც რომ, დიდად აფასებს ხავსის ამ საოცარ თვისებებს და ხშირად ეჭიდება მას. მაგალითად, ქუჩაში შეხვედრილი ნაცნობი დარდით გიყვება თავის ვაგლახ ყოფას, სიდუხჭირეს, ოჯახის წევრების უმუშევრობას, გაძვირებულ ცხოვრებას... მაგრამ, განა, მთლად ასეა ცუდადაა საქმე? საუბრის ბოლოს ამატებს, რომ, სამაგიეროდ, მისი საზიზღარი მეზობელი ციხეში ჩასვეს, რომელიც საწყალი ხალხის ფულს ხაპავდა. ის დაჭერილი მეზობელი, ამ შემთხვევაში, მართალია, გვარიანად მომჭკნარი, მაგრამ მაინც იმედის ხავსია, რომ რაღაც მაინც კეთდება და სადაც ხავსია, იქ „მაგრამსაც“ ყოველთვის იტყვიან.

ხავსის საოცარი თვისებების შესახებ საქართველოს მოსახლეობისთვის ისტორიულად ცნობილი იყო და ჩვენი წინაპრებიც გამუდმებით ეჭიდებოდნენ მას. მაგალითად, დიდი თურქობის დროს, ქართველები ამბობდნენ, მართალია, ჩვენს სოფლებში თურქები მოდიან, სახლ-კარს გვიწვავენ, ცოლ-შვილს ტყვეთა ბაზარზე გვიყიდიან, მაგრამ აი, გუშინ თურქი იანიჩრების მეთაურის ცხენს ფეხი მოსტეხია და ეს უკვე კარგი ამბავიაო. ხავსმოკიდებულობა არც საბჭოთა კავშირის პერიოდში იყო უცხო ხილი. სტალინური რეპრესიებისა და მასობრივი დახვრეტის დროს იყვნენ ისეთები, რომლებიც იძახდნენ, რომ ხალხს რეპრესიებზე კი არა, სულ კარგ რამეებზე უნდა ეფიქრა. მაგალითად, თბილისში სანაპირო კეთდებოდა და ამის არდანახვა, აბა, როგორ შეიძლებოდა?..

ზვიად გამსახურდიას პერიოდში ხავსად ფსევდოპატრიოტული ყიჟინა ითვლებოდა, შევარდნაძის დროს კი — არარსებული „სინათლე გვირაბის ბოლოს“. სააკაშვილის მმართველობის წლებში ყოველი კორპუსის გადაღებილი ფასადი და დაგებული გზა ამ ხავსის სათითაო ღეროდ უნდა ჩავთვალოთ. დღეს კი... მიუხედავად ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნეობრიობისა, ამ დიდებულ ხავსს დღეს რომ გასავალი აქვს, ეგრე, მგონი, მაინც არასოდეს ჰქონია.

ხელისუფლების ყველა წარმომადგენლის სატელევიზიო გამოსვლებში, საგაზეთო ინტერვიუებსა თუ პირად საუბრებში საოცრად მძაფრად იგრძნობა ამ ხავსის მომნუსხველი სურნელი და ეს სურნელი ხან ისე შორსაც მიდის, ბევრი რიგითი ჩვენი თანამემამულის გონებასაც ბინდავს. მართალია, თვითონ არასოდეს აღიარებენ ამას, მაგრამ შორიდანაც კი ნათლად ჩანს მათ თვალებზე გადაკრული ლიბრი. დარწმუნებულები უნდა ვიყოთ, ეს ლიბრი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გაფერმკრთალდება და ყველანი დავინახავთ, რომ ხავსი მარადმწვანე მცენარე არ არის, ბოლოს, აუცილებლად დაჭკნება, გახმება და ზამთრის თოვლით დაიფარება.

ერთ-ერთი ასეთი ზამთრის დროს კი, როდესაც ხავსიც გახმება და ხეებსაც ფოთლები გასცვივა, ყველაზე კარგად გამოჩნდება, ვინ ვართ, როგორ ვართ და სადაც ვართ.

ექსკლუზიური ინტერვიუ გიორგი ქადაგიძესთან

მე-3 გვერდიდან

მეტიც, სტანდარტბანკის მფლობელებმა ეს ბანკი უპრეცედენტოდ მაღალ ფასად მიყიდეს არაბულ საინვესტიციო ჯგუფს და ყვითელი პრესის სურვილის გარდა, ეს თემა არსად ფიგურირებს. ქართუ ბანკთან დაკავშირებით, გამოძიება დასრულდა და საქმე უკვე სასამართლოშია გადაგზავნილი. გამოძიების არც ერთ ეტაპზე, საქართველოს ეროვნული ბანკი, ამ საქმის ფიგურანტი არ ყოფილა და არ არის. რაც შეეხება ინტელექტბანკსა და მაშინდელ სახალხო ბანკს, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, ეროვნული ბანკი სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდა. ორივეში, აქციონერებისა და მენეჯმენტის მთელი რიგი, არაჯეროვანი გადაწყვეტილებების შედეგად, საფრთხის წინაშე დადგნენ მაშინდელი მეანაბრეები. ამიტომ ეროვნულმა ბანკმა, კანონით დაკისრებული მოვალეობა შეასრულა და, ორივე შემთხვევაში ისეთი გამოსავალი მოძებნა, ბანკის არც ერთი მეანაბრე და კრედიტორი არ დაზარალებულა. ეს არის ჩვენი მთავარი მიღწევა, რომლითაც ვამაყობ. მეტიც, ეს ერთ-ერთი პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ეროვნულმა ბანკმა პროაქტიური გადაწყვეტილება მიიღო, ანუ კი არ დაელოდა, პროცესში ურმის გადატრიალებამდე ჩაერია. ეროვნულმა ბანკმა ეს პროცესი წარმართა საუკეთესო საერთაშორისო საზედამხედველო პრაქტიკის მიხედვით და შედეგიც დადგა — არც ერთი ანაბარი არ დაკარგულა. ყველაფერი დანარჩენი, მეორეხარისხოვანია. ზუსტად იმიტომ, რომ ეროვნული ბანკი ხშირ შემთხვევაში, პროაქტიური არ იყო, ასობით გაკოტრებული ბანკი და ასიათასობით გაკოტრებული მეანაბრე გვახსოვს.

— ინტელექტბანკის გაკოტრების საქმეზე ზურაბ ტყემალაძე დაიკითხა?

— ამის შესახებ ინფორმაცია არ მაქვს. თუმცა შემიძლია დაგიზუსტოთ, რომ ინტელექტბანკში არანაირი სპეცოპერაცია არ ჩატარებულა. მე ვიყავი დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და იქიდან გამომდინარე, რომ რთული ვითარება იყო, სწრაფი გადაწყვეტილებები უნდა მიგვეღო. ხაზგასმით აღვნიშნავ, ყველა შემთხვევაში არსებული უმნიშვნელო დეტალიც კი ფინანსურ სექტორში არსებულმა ყველა მოთამაშემ იცის. თითქმის ყველა კომერციული ბანკი იყო ამ პროცესში ჩართული, ყველას გაეგზავნა შეთავაზება, პროცესი აბსოლუტურად გამჭვირვალედ მიმდინარეობდა. სამწუხაროა, ესა თუ ის საქმე გარკვეულ პოლიტიკურ კონტექსტში რომ ამოტივტივდება ხოლმე, რაც უსიამოვნოა.

ზოგადად, აქციონერების ჩივილი, გაკოტრებულ ბანკთან დაკავშირებით, არახალია, თუმცა კითხვა, რა უფრო პრიორიტეტულია ეროვნული ბანკისთვის — მეანაბრეების ინტერესების დაცვა თუ იმ აქციონერებისა, რომლებიც უპასუხისმგებლოდ მოექცნენ საკუთარ კლიენტებს, რა თქმა უნდა, არასწორია. ჩვენი უპირველესი ამოცანა სწორედ მეანაბრეების დაცვაა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ვიზრუნოთ აქციონერების ინტერესებზე. არ დავუშვებთ, ის შეცდომები გავიმეოროთ, რომლებიც 90-იანი წლებიდან გვახსოვს. ეს, შეცდომა კი არა, დანაშაული იქნება, რაც ჩვენს ქვეყანას უკან დახევს.

— მორიგი შეტევა თქვენს წინააღმდეგ რეფინანსირების სესხების აუქციონს ეხება. ერთ-ერთ ბოლო აუქციონზე, 965 მილიონი ლარი გაყიდეთ, რის გამოც, თითქოს ლარის კურსი გაუარესდა. რას ნიშნავს რეფინანსირების სესხების აუქციონი?

— რაც უფრო ვითარდება ფინანსური სექტორი, უფრო და უფრო რთული ფინანსური ინსტრუმენტები შემოვა ბრუნვაში. შევეცდები, უმარტივესად აგიხსნათ. დავუშვათ, მოგეცით 10 ლარი, თქვენმა ბიძაშვილმა გამოგართვათ 5 ლარი, ხოლო მეზობელმა — 4 ლარი, თქვენ ხომ 1 ლარი დაგრჩათ. წარმოიდგინეთ, მოვიდა მეგობარი და გითხრათ, გიორგიმ ხომ 10 ლარი მოგცათ, მასესხეთო. ცხადია, ვერ ასესხებთ, რადგან რეალურად, მხოლოდ 1 ლარი გაქვთ. ახლა ყველაფერს თავის სახელი დავარქვათ, მე ვარ რეფინანსირების სესხი, თქვენი ბიძაშვილი — სავალუტო ინტერვენციაა, მეზობელი — სახაზინო ვალდებულებები და ბიუჯეტის გავლენა, ხოლო თქვენ — ფულის მასა. მარტივად რომ ვთქვათ, თუ გვაინტერესებს, რამდენით გაიზარდა ფულის მასა, უნდა შევკრიბოთ როგორც ჩემს მიერ მოცემული, ასევე თქვენი ბიძაშვილისა და მეზობლისგან ამოღებული ფული, ერთობლივად უნდა გავნაშთოთ და ვთქვათ, რომ თქვენ გაქვთ 1 ლარი. რეფინანსირების სესხს აკრიტიკებენ, რადგან ფიქრობენ, ფულის მასა იზრდება იმიტომ, რომ მე მოგეცით 10 ლარი, რაც აბსურდია, თქვენ ხომ 10 ლარის ნაცვლად, მართლაც 1 ლარი გაქვთ? ამიტომ თუ ვსაუბრობთ იმაზე, ხომ არ იზრდება ფულის მასა, რაც ლარის გაუფასურებას იწვევს, მაშინ უნდა შევკრიბოთ როგორც მიწოდების, ასევე ამოღების ინსტრუმენტები და ვნახავთ, რომ ფულის მასა არ გაზრდილა. სარეზერვო ფული, რომელზეც გავლენა გვაქვს, წლიურად, 3%-ითაა გაზრდილი, ეს არის მინიმალურზე მინიმალური. ბოლო 15 წლის განმავლობაში, ერთადერთხელ, 2008 წლის ბოლოს შემცირდა სარეზერვო ფული და შედეგად, 2009 წელს, ეკონომიკა 4%-ით შემცირდა. რაც შეეხება არგუმენტს, რომ რეფინანსირების სესხების სახით, 500 მილიონ ლარს, 700 მილიონ ლარს, ან 900 მილიონ ლარს ვაძლევთ ბანკებს, სადაც თითოეულ ზრდას ან შემცირებას თავისი მიზეზი აქვს, ეს არ არის ფულის მასის ცვლილების ერთადერთი და პირდაპირპროპორციული წყარო. ისევ იმ მაგალითს დავუბრუნდეთ, 10 ლარი მოგეცით, მაგრამ სხვა ინსტრუმენტების საშუალებით, 9 ლარი გამოგართვით. გვაკრიტიკებენ იმის გამო, რომ, რადგან 10 ლარი მოგეცით, თქვენ წახვედით, გადაახურდავეთ და დოლარი იყიდეთ. მთავარი ისაა, რომ სინამდვილეში, 10 ლარი არ გქონიათ. რეფინანსირების სესხების აუქციონი ლიკვიდობის მართვის ერთკვირიანი ინსტრუმენტია. მეტიც, თეორიულად, ერთ კვირაში, საერთოდ განულებაც შეგვიძლია და ამასაც ჩვენს მაგალითზე აგიხსნით. თუ ამ 10 ლარს გამოგართმევთ, თქვენ დაგრჩებათ მინუს 9 ლარი, რაც ნიშნავს, რომ ფულის მასა მილიარდით შევამცირეთ. ეს გამოიწვევს ეკონომიკის არა თუ გაჩერებას, არამედ ლარის შიმშილს. ეს გამოიწვევს იმას, რომ ეკონომიკა უარყოფით ნიშნულზე წავა. აბსურდია, თითქოს რეფინანსირების სესხის გაცემის გამო დაეცა ლარის კურსი. ასეთი განცხადებები და მუდმივად ამ თემის პედალირება, სრულ უცოდინრობას ან მიზანმიმართულ კამპანიას ნიშნავს.

— სინამდვილეში, რეფინანსირების სესხების აუქციონით, ეროვნული ბანკი ეხმარება მთავრობას, რომ საბიუჯეტო დეფიციტი დაფაროს ანუ სახაზინო ვალდებულებები შეასრულოს?

— ასე ვიტყოდი — ამით ბანკებს საშუალებას ვაძლევთ, მოკლევადიანი ლიკვიდობის მართვის პერიოდში, იმდაგვარად დაიჭირონ სხვადასხვა ფასიანი ქაღალდები, ხარჯი მინიმალური იყოს, რათა ჯამში, ეს სესხებზე არ აისახოს. ჩვენი ამოცანაა, სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების დინამიკა გაგრძელდეს, სესხი იყოს ხელმისაწვდომი და რაც შეიძლება, დაბალგანაკვეთიანი, რაც ჩვენი ეკონომიკის პირობებში, შესაძლებელია. რეფინანსირების ინსტრუმენტის არსი ისაა, ბანკებს შევუმსუბუქოთ ლიკვიდობის მომსახურების ტვირთი, რაც საბოლოოდ, საპროცენტო განაკვეთებზე აისახება. მთავრობა უშვებს სახაზინო ვალდებულებებს, ანუ ფასიან ქაღალდებს შიდა ბაზარზე და ამ ფასიან ქაღალდებს ბანკები ყიდულობენ — არ მიმაჩნია, რომ ეს ორი ინსტრუმენტი ერთად უნდა განვიხილოთ. ეს სრულიად სხვადასხვა ინსტრუმენტებია, რომლებიც რაღაც დონეზე, ერთმანეთს კი კვეთენ, მაგრამ არაპირდაპირპროპორციულად. ბანკებს რეფინანსირების სესხი რომც არ მივცეთ, ისინი სახაზინო ვალდებულებებს მაინც იყიდიან იმ დოზით და იმ ფასად, რასაც და რამდენსაც საჭიროდ ჩათვლიან. ზოგადად, როდესაც მაკროეკონომიკაზე, მონეტარულ ან ფისკალურ პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, არანაირი აზრი აქვს, ამოგლეჯილად ერთი ინსტრუმენტის განხილვას, ყველაფერი კომპლექსურად და ერთდროულად უნდა განვიხილოთ. ჩვენი მოსახლეობა შეცდომაში არ უნდა შევიყვანოთ, რადგან ლარის გაუფასურებას კონკრეტული მიზეზი აქვს, რაზეც დასაწყისში უკვე ვისაუბრეთ, სხვა ყველაფერი კი იმ პოლიტიკის გატარებაა ჩვენს მიერ, რაც ამ პროცესის ნეგატიურ გავლენას შეარბილებს.

— ლარის კურსი დგინდება „ბლუმბერგის“ სავალუტო სისტემაში, რომელიც დახურულია. მასზე წვდომა აქვს მხოლოდ ეროვნულ ბანკს და იმ კომერციულ ბანკებს, რომლებიც სავალუტო ვაჭრობაში მონაწილეობენ. როცა ამის გამო გაგაკრიტიკეს, შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს თქვენ და წამყვანი კომერციული ბანკების წარმომადგენლები „ბნელ ოთახში“ სხედხართ და სპეკულაციურად ადგენთ ლარის კურსს. რეალურად, რა ხდება?

— 90-იან წლებში, ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა დაფუძნდა, რომელიც იმ პერიოდში, ძალიან პროგრესული იყო. რა თქმა უნდა, 2006 წელს, სხვა მოთხოვნები გაჩნდა, მასშტაბებიც განსხვავებული იყო და ის ინსტიტუტი ვერანაირ მოთხოვნებს ვეღარ პასუხობდა. მასშტაბური რეფორმა განვახორციელეთ და საერთაშორისო პრაქტიკაში ერთ-ერთი საუკეთესო, „ბლუმბერგის“ პლატფორმა დავნერგეთ, რომელიც ყველაზე სანდო, გამჭვირვალე და სწორი მოდელია ასეთი ტიპის ოპერაციებისთვის. როდესაც ბანკთაშორის სავალუტო ბირჟას ვაუქმებდით, მაშინაც აპოკალიფსს გვიხატავდნენ და გვეუბნებოდნენ, რომ ყველაფერს დავღუპავდით, თუმცა ამის შემდეგ, თვისობრივად შევცვალეთ ვაჭრობის პლატფორმა, მნიშვნელოვნად გაიზარდა ბრუნვები და საბანკო სექტორისთვის ეს პროცესი გაცილებით კომფორტული გახდა. ეს არის სისტემა, რომლის დანერგვასაც უამრავი, ჩვენზე უფრო მდიდარი ქვეყანა ცდილობს, რომლებიც ჩვენგან იღებენ მისი დანერგვისა და იმპლემენტაციის მაგალითს. მეტიც, ეროვნული ბანკი წელიწადში არაერთხელ მოწმდება, როგორც საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების, ასევე სსფ-სა და სპეციალური მისიების მიერ. ყველა ამ შემოწმების მიხედვით, „ბლუმბერგის“ პლატფორმის სწორად წარმართვაში, ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე ვართ. საუბარი იმაზე, რომ ეს დახურული სისტემაა, სადაც ხელოვნურ გარიგებებს აქვს ადგილი, შეთქმულების თეორიის ნაწილია, რომელსაც საერთო არაფერი აქვს რეალობასთან. ამ პროცესში ყველა კომერციული ბანკია ჩართული, გარიგებების კურსი ხელმისაწვდომია ყველასთვის, ვისაც „ბლუმბერგის“ ტერმინალი აქვს. ამაზე უფრო გამჭვირვალე რა უნდა იყოს, ერთადერთი ისღა დაგვრჩენია, მე-17 საუკუნის ბირჟების მსგავსად, თითოეული გარიგების შემდეგ გამოვიდეთ ქუჩაში და ხმამაღლა ვიყვიროთ.

— ცალკეული ექსპერტები დეპოზიტებიდან და ანაბრებიდან მიღებული შემოსავლების დაბეგვრის ინიციატივით გამოდიან. სწორია ეს?

— 2007 წლამდე ასეც იყო, საპროცენტო სარგებლით მიღებული შემოსავალი ჩვეულებრივ შემოსავლად ითვლებოდა და დაბეგვრის განაკვეთი 10% იყო. საგადასახადო რეფორმის ფარგლებში, ჩვენ ეს გადასახადი გავაუქმეთ, რამაც ძალიან პოზიტიური როლი შეასრულა. მეტიც, თუ გვინდა, რომ ჩვენი განვითარების ერთ-ერთი მიმართულება რეგიონული ფინანსური ჰაბი იყოს, მაშინ ასეთ იდეებზე არ უნდა ვიფიქროთ! ჩვენს საბანკო სექტორს, ზუსტად იმის გამო, რომ სწორი რეგულირება აქვს, ბანკები კარგადაა კაპიტალიზირებული, სხვა ქვეყნის მოქალაქეებიც ენდობიან და არარეზიდენტი დეპოზიტების წილი მუდმივად იზრდება საქართველოს საბანკო სისტემაში. საუბარია ასეულობით მილიონზე. ესაა თანხა, რომელსაც უცხო ქვეყნის მოქალაქეები ქართულ საბანკო სივრცეში ინახავენ, რაც ნიშნავს, რომ ეს თანხა ხმარდება ქართული ეკონომიკის დაფინანსებას.

„ბიძინა პოლიტიკაში არ უნდა დაბრუნდეს — კერპების გარეშე უნდა ვისწავლოთ ცხოვრება!“

რატომ აირჩიეს დიასპორებისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ, როგორ აფასებს ივანიშვილის გადაცემას 20/30 და ვინ „დაღუპა“ თემურ ჭკუასელი

ნინო კომახიძე
599-95-33-16

მწერალი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, „ქართული ხმების“ დამფუძნებელი, ჩოხატაურის მაჟორიტარი თემურ ჭკუასელი საქართველოს პარლამენტის დიასპორებისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. ვინც მისი ბეგრაუნდი არ იცის, ალბათ, მის ადგილს განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე უფრო ხედავდა, თუმცა... რა კავშირი აქვს უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან, ვინ „შთააგონა“ ბიძინა ივანიშვილს ძველი მეგობრის პოლიტიკაში ჩართვა, ვინ აპირებდა მილიარდერის ბიზნესცენტრის დაბომბვას და როგორ აფასებს პროფესიონალი „ტელევიზიონშჩიკი“ მეგობრის გადაცემას 20/30 — ამ კითხვებზე „ვერსიას“ ექსკლუზიურ ინტერვიუში თავად თემურ ჭკუასელი უპასუხებს. საუბარს კი განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის ორად გაყოფით ვიწყებთ.

— სამწუხაროდ, კულტურის კომიტეტი ცალკე არ არსებობს. არადა, ეს ერთადერთი კომიტეტია, რომელიც ორ, ძალიან მნიშვნელოვან და უზარმაზარ სფეროს აერთიანებს. ჩემი აზრით, კულტურის კომიტეტი ცალკე უნდა იყოს, განათლებისა და მეცნიერებისა კი — ცალკე. კარგი პრეტენდენტებიც არიან, ვინც კულტურის კომიტეტს სათავეში შეიძლება ჩაუდგეს. როცა ამ საკითხზე ვისაუბრე, მითხრეს, ჯერჯერობით, ამის ფუფუნება არ გვაქვსო.

გამიკვირდა, როცა დიასპორების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე ჩემი კანდიდატურა კოალიციის სხვადასხვა წევრმა — ზურაბ ტყემალაძემ, მანანა კობახიძემ, ეკა ბესელიამ, დავით საგანელიძემ, გია ვოლსკიმ, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად დაასახელა. ამ მოკლე ხანში გავიაზრე, რომ პროფესიიდან გამომდინარე, ამერიკის, საბერძნეთის, საფრანგეთის, ავსტრიის, ავსტრალიისა და ისრაელის დიასპორებთან კარგი ურთიერთობა მაქვს. გურული ვარ, ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ არც კავკასიელი ხალხისთვისაა უცნობი ჩემი სახელი. შარშან, ჩრდილოეთ კავკასიაში გამომავალ ლიტერატურულ ალმანახში ჩემი „სიყვარულის კარდიოგრამა“ ითარგმნა და დაიბეჭდა; საბერძნეთში გამომავალმა გაზეთმა უზარმაზარი ინტერვიუ დაბეჭდა ჩემთან; ამერიკაში ჟურნალი „მამული“ გამოდის, სადაც ჩემზე სტატია დაიბეჭდა, სათაურით: „ბიჭი ბებიის მედალიონიდან“. ჩემმა ემიგრანტმა შვილმა რამდენიმე დღის წინ შემატყობინა, რომ „მამულში“ ასევე დაიბეჭდა ჩემი მოთხრობა, „გამარჯობა, მამა“. ჩემი მეგობარი, რომელიც ახლა ავსტრიიდან ჩამოვიდა, მარწმუნებს, მთელი ავსტრიის ებრაელობა და ქართველობა შენი მეგობარიაო.

— თქვენი პროფესიისა და პირადი ურთიერთობების გამოყენებას კომიტეტში აპირებთ?

— როგორც კი გაიგეს, რომ ჩემი კანდიდატურაა დასახელებული, რამდენიმე ადამიანი მესაუბრა. შესასწავლია, საქართველოში რომელ სპეციალისტებზეა მოთხოვნა და, როცა შესაბამისი საწარმოები გაიხსნება, ყველა ქვეყანაში, სადაც ბევრი ემიგრანტი გვყავს, ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით, სპეციალისტების მომზადება შეიძლება. როცა ისინი საქართველოში დაბრუნდებიან, მუშაობასაც დაიწყებენ. ეს იდეა ორივე მხარისთვის მომგებიანია. სამთავრობო კომისიაც იქმნება, სადაც შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლები შევლენ. მეც ვიქნები, კომიტეტის თავმჯდომარის სტატუსით. მუშავდება ერთიანი სამთავრობო სტრატეგია, რამდენიმე სიახლესაც გავამხელ: იხსნება სპეციალური საიტი tanamemamuleebi.ge, სადაც შერჩეული ლიტერატურული ნაწარმოებები განთავსდება. ჩაფიქრებული მაქვს, სპეციალურად ემიგრანტებისთვის კრებულის გამოცემა, რომელიც ყველას დაურიგდება.

— როცა მეგობარ ქვეყნებს შორის თანამშრომლობაზე ვსაუბრობთ, ემიგრაციასთან ურთიერთობა იოლია. რა სტრატეგია გაქვთ რუსეთთან მიმართებაში, სადაც ნახევარ მილიონზე მეტი ქართველია?

— პირადი ურთიერთობები უმნიშვნელოვანესია. რუსეთში მოღვაწე ბევრ წარმატებულ ქართველს ვიცნობ, ჩემი მეგობრები არიან. მათ უამრავი ადამიანი გამაცნეს. ეს ხალხი პირადი ურთიერთობების გამო საქართველოსთვის ბევრ რამეს აკეთებს. ოთარ მარღანია, რომელმაც ბათუმში „შერატონი“ ააშენა, თბილისშიც აპირებს, რეზო ჩხეიძის წიგნის გამოცემაც მან დააფინანსა. ჩემმა მეგობარმა გოჩა ჩხაიძემ, 2 წლის წინ, პეტერბურგში „ქართული ხმებისა“ და ნანი ბრეგვაძის კონცერტი ჩაატარა... სხვათა შორის, პეტერბურგის გუბერნატორის მოადგილემ მითხრა, თქვენი ჩამოსვლის შესახებ პუტინს შევატყობინეთ, მასთან უნდა შეგვეთანხმებინა და გვითხრა, სასწრაფოდ ჩამოიყვანეთო. ამიტომაც ჩაგვირტყეს ერთწლიანი ვიზები. ვიცნობ გერგიევსაც, რომელსაც რუსეთში ანსამბლი „მძლევარი“ ყოველ წელს ჩაჰყავს.

— მესმის, რომ სახელოვნებო წრეებში ეს ურთიერთობები აუცილებელია, მაგრამ... ზოგს რუსეთში სიმღერის გამო ქართველები უწყრებიან, მაგალითად, თამარ გვერდწითელს, „ქართული ხმების“ კონცერტზე კი აგრესია არავის ჰქონია. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რას იმღერებ?

— ყველაფერს დრო, ვითარება და ადგილი განსაზღვრავს. 1989 წლის 9 აპრილს, როცა ტელევიზიაში მთავარი რედაქტორი ვიყავი, მოსკოვიდან ჩემმა კოლეგამ დამირეკა და „ქართულ ხმებს“ ევროვიზიაში მონაწილეობა გვთხოვა. პირველად ვიფიქრე, ამას როგორ გავაკეთებ-მეთქი, მაგრამ მერე ბიჭები შევიკრიბეთ და ჩასვლა გადავწყვიტეთ. ოღონდ, ერთი პირობით — მარტო „ჩემო კარგო ქვეყანა“ უნდა გვემღერა. გაუხარდათ, რადგან ეგონათ, ცნობილი მოვლენების გამო მონაწილეობას არ მივიღებდით. როცა ჩავედით და ჩვენი პირობა წავუყენეთ, „შეხვევა“ დაგვიწყეს, ეგ არ იმღეროთო. მიხვდნენ, ჩაუსვლელობაზე დიდი პროტესტი ამ სიმღერის შესრულება იქნებოდა. ბოლოს დაგვთანხმდნენ. იქვე ჩავწერეთ სიმღერა, რადგან სცენაზე პირი უნდა დაგვეღო და ისეთი სახეებით ვიდექით, ჩვენი პროტესტი ყველამ გაიგო. ასე რომ, გააჩნია ვითარებას. ხელაღებით, ყველაფერზე „არა“-ს თქმა არ შეიძლება.

— მაშინ ეს პროტესტის ფორმა იყო — დღეს რა არის?

— გვერდწითელი სულ რუსეთში მოღვაწეობს და ეს რეაქციები გამიკვირდა. ახლა ბათუმშიც აპირებს კონცერტის ჩატარებას. ყველაფერი ინდივიდუალურია. რას გავაკეთებ, ჩემი საქმეა. მთავარია, ისეთი რამ არ გავაკეთო, ვინმეს ეჭვი შეეპაროს, ჩემი ქვეყანა მიყვარს თუ არა. როცა ნანისთან ერთად პეტერბურგში კონცერტი ჩავატარეთ, ამაზე საქართველოში უარყოფითი აზრი არავის გამოუთქვამს. ალალად გეუბნებით, მე არც თამრიკოს სიმღერამ გამაღიზიანა.

— რადგან გოგი თოფაძის განცხადებების მერე საგარეო კურსზე საუბარი აქტუალური გახდა, პოზიციისთვის, ერთ კითხვას დაგისვამთ — რა არის თქვენი საგარეო არჩევანი?

— ეს იმდენად ნათელია, პასუხის გაცემაც უხერხულია. ევროკავშირს ალტერნატივა არ აქვს! გოგი ძალიან მიყვარს, მისიც მესმის — ალბათ, ევრაზიულ კავშირში პრობლემების მოგვარების გზა დაინახა. თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში, ევრაზიული კავშირი დაღუპვაა! სხვათა შორის, ერთხელ გოგის ვეხუმრე. პარლამენტში ერთ რიგში მე, ვოლსკი, თემურ ჩხაიძე და ზაზა პაპუაშვილი ვისხედით. მნიშვნელოვან საკითხს გავდიოდით და ქვორუმი არ იყო. ზაზა აღელდა, რა ხდება, სადაა ეს ხალხიო. უკან გაიხედა და ჩამწკრივებული „მრეწველები“ დაინახა — ყაჭეიშვილი, ბაშალეიშვილი, თოფაძე, ტყემალაძე. აი, ხალხი, როცა უნდა გაიხედო, სულ ასე სხედანო. ჰოდა, ვუთხარი, ზაზა, ეგენი დილას რომ მოდიან და სხდებიან, მერე ვეღარ დგებიან-მეთქი. წავიდნენ და ეს ამბავი გოგისაც უამბეს, ამის მერე უფრო დავმეგობრდით.

— პარტიაში არსებულ პრობლემებზე რას მეტყვით: მურმან დუმბაძე ამბობს, „ოცნება“ იშლებაო, პრემიერმა თქვა, რამდენიმე მოღალატე გავრიცხეო, არმაზ ახვლედიანმა უფლებამოსილება შეიჩერა, რეგიონული ოფისები გაუმართავია...

— პარტიაში სამუშაო, მართლაც, ბევრია. ამას დეპუტატებიც ამბობენ, „ოცნება“ გააძლიერეთო. მურმან დუმბაძის განცხადებებზე კი მეცინება, მის ადგილას ასე არ მოვიქცეოდი! რაც შეეხება ახვლედიანის შემთხვევას: ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რაიკომის მდივანს ქრთამს რომ ბევრჯერ შესთავაზებენ და ბოლოს, როგორც იქნა, შეაცდენენ. ასე იყო მისი საქმეც — იმდენჯერ ჰკითხეს, დეპუტატებს დასჯი თუ არაო, ბოლოს წამოიყვირა, ჰო, კარგი, დავსჯითო! დეპუტატები სხვადასხვა რაიონშიც გავედით. მე მცხეთა-მთიანეთი მერგო — დუშეთში, მცხეთაში, ყაზბეგსა და თიანეთში ვიყავი. ამ ოთხიდან ორში მშვენიერი ვითარებაა, ორში — ცუდი. პარტიის ძირითადი ბირთვი ყველგან შენარჩუნებულია, უბრალოდ, ამ ხალხს ახალი მუხტი სჭირდება. ჩემი აზრით, ზოგან გუნდი შესაცვლელია.

— როგორც ვიცი, ბევრგან „ოცნება“ ნაციონალებით გაივსო. ასეა?

— აბა, მკითხეთ, რა ხდება ჩოხატაურში და რამდენი ნაციონალია?! 21 მარტს, ნაციონალების მიტინგზე, იცით, რამდენი კაცი ჩამოვიდა ჩოხატაურიდან — 8: ნაციონალების პარტიის თავმჯდომარე, მისი ოჯახის წევრები და კიდევ ერთი კაცი. ხოლო ვინც 2012 წელს მათგან კენჭს იყრიდა, ახლა „ოცნებაშია“.

— ადრე ამბობდით, წამხდარ ყანას ჰგავს გურიაო, დღეს რა ხდება ჩოხატაურში?

— ახლა მომიწევს, იმაზე გესაუბროთ, რა გავაკეთე. 2014-2015 წელს საქართველოში 17 ახალი სკოლა შენდება და აქედან 4 ჩოხატაურში. განათლების მინისტრს უკვე თავი შევაძულე. ჩოხატაურს არ ჰქონდა გრეიდერი, ბულდოზერი და ახალთახალი ვიყიდეთ, ახლა ტრაქტორიც დავუმატეთ. 2 ადგილას ბეტონის გზა დაიგო. შიდაგზები, ფაქტობრივად, ყველგან დაგებულია. ჩემს სოფელში გზა ავიყვანე და მოედანიც ავაშენე, ეს პირადი ურთიერთობებით გავაკეთე და არა ბიუჯეტის ფულით. ახლახან სოფლის ბიბლიოთეკა და იუსტიციის სახლი გავხსენით, თეა წულუკიანს შევეხვეწე და მეორესაც გავხსნით. დაწყებულია ახალი თეატრის მშენებლობაც. წელს უნდა აღდგეს 2010 წელს გაუქმებული ტექნიკუმიც. ჩემი ბიურო ჩოხატაურში დღე და ღამე მუშაობს და ყველაფრის საქმის კურსში ვარ — სულ ჩოხატაურში რომ ვიჯდე, არც ეს გზები აშენდებოდა, არც თეატრი და არაფერი.

— მეგობარ ბიძინა ივანიშვილთან ისევ ხშირი ურთიერთობა გაქვთ?

— ისეთი ხშირი ვეღარ, არც ერთს გვცალია. ბოლოს 2 იანვარს ვნახე. დაბადების დღეც ტელეფონით მივულოცე. როცა საჭიროა, ტელეფონით ვსაუბრობთ ხოლმე.

— პოლიტიკაზე თუ საუბრობთ, როცა ხვდებით?

— რა თქმა უნდა, არა. პოლიტიკაზე მარტო მაშინ ვსაუბრობთ, როცა ამის საჭიროებაა და ამისთვის ტელეფონიც არსებობს. ერთი ამბავი გამახსენდა: ნაციონალების დროს ტელეფონით ვსაუბრობდით და რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი მითხრა. გამიკვირდა, ამას ტელეფონით როგორ ამბობ-მეთქი და მიპასუხა — შენ გგონია, გვისმენენ, არა, კაცო, ამას როგორ იკადრებენო!

— ივანიშვილს ნახევარი საქართველო ხელისუფლებაში დაბრუნებას ეხვეწება. ამაზე რას ფიქრობს და რას ურჩევთ?

— არა, არა! მიმაჩნია, რომ პოლიტიკაში არ უნდა დაბრუნდეს! მისი ხასიათი ძალიან კარგად ვიცი და მისთვის ეს ძალიან რთული ნაბიჯი იყო.

— რომელი — მოსვლა თუ წასვლა?

— მოსვლა... პოლიტიკასთან შეხება არასოდეს სურდა. ბიძინას შეეძლო, საქართველოდან წასულიყო და ბედნიერად ეცხოვრა ან დარჩენილიყო, გაეკეთებინა ის, რაც გააკეთა და ისტორიაში ამით შესულიყო. მან მეორე გზა აირჩია, ოღონდ არა იმიტომ, რომ პოლიტიკა უყვარს. ამის მერე, როგორც თქვა, წავიდა კიდეც პოლიტიკიდან, მაგრამ დარჩა ქვეყანაში. რაც თქვა, შეასრულა! უმრავლესობის სხდომაზე პირველად რომ თქვა, პოლიტიკიდან მივდივარო, ატყდა ერთი უბედურება, ეგ არ ქნაო. მერე, რაღაც მომენტში, დუმილი ჩამოვარდა და ერთადერთი ადამიანი ვიყავი, ვინც უთხრა, წადი, წადი, ბიძი, სწორად იქცევი-მეთქი. ყველამ გაიცინა და ვითარება განიმუხტა. ეს იმიტომ არ მითქვამს, რომ მისი წასვლა მინდოდა, უბრალოდ, ვიცი, პოლიტიკაში ყოფნა არ შეუძლია. როგორმე, კერპების გარეშე უნდა ვისწავლოთ ცხოვრება. თან, ბიძინა თავად ამბობს, რომ არსად წასულა და ქვეყნის მაჯისცემაზე უდევს ხელი.

— ალბათ, 20/30-ს უყურებთ. თქვენი პროფესიული აზრი როგორია?

— დიახ, ერთხელ ვუყურე. მე, პირადად, ბევრ რამეს შევცვლიდი. პროფესიონალი ტელეჟურნალისტი ვარ, ბევრი რამ მაქვს გაკეთებული, ინოვაციურიც კი და ამიტომ ვამბობ ამას. თუმცა, ამ საკითხზე, ბიძინასთვის რეკომენდაციები არ მიმიცია. სატელევიზიო სერიალი „ფრანგული დღიური“ სწორედ ქართულ ემიგრაციაზე მაქვს გადაღებული და იგი 17 სერიისგან შედგება. ბაკურიანში ვიყავით, რომ ნახა. მითხრა, მინდა, „მეცხრე არხზე“ გავიდესო. ბრწყინვალედ იცის ჩემი შესაძლებლობები. ერთია რაღაცის რჩევა და მეორე — მუშაობა. ზოგადად, მას აქვს პრინციპი — მეგობრობა მეგობრობაა, საქმე კი სხვა რამ. ისიც გამიკვირდა, მაჟორიტარობა რომ შემომთავაზა. როცა პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილება მიიღო, 4 ოქტომბერს ისე გამომემშვიდობა, ეტყობოდა, ამაზე არც ფიქრობდა. მახსენდება, ისიც კი ვუთხარი, ვიღაცას მოისყიდიან და მზად ხარ-მეთქი? მკითხა, ფიქრობ, მომწამლავენო? თვალებში ცრემლი მქონდა, როცა ამაზე ვსაუბრობდით. ვუთხარი, რომ ნაციონალებისგან ბევრი საფრთხე ელოდა, რადგან ისინი ყველაფრის გამკეთებლები იყვნენ. ყველას ახსოვს, რაც აკეთეს კიდეც, მის დაცვას იარაღი ჩამოართვეს, ბანკი გააკოტრეს... მეტიც — მის დაბომბვასაც აპირებდნენ. ამაზე მართლა იყო საუბარი.

— უფრო კონკრეტულად, ამას ვინ გეგმავდა?

— სააკაშვილი, სხვა ვინ?! ხომ არ დავბომბოთო, სერიოზულად ფიქრობდნენ. ამაზე ფიქრიც აღარ მინდა — ეს სად შეყო თავი! ამ საუბრის შემდეგ გამომაცილა, ბეჭებზე ხელი დამარტყა, არ ინერვიულო, ჭოტიკა, შეიძლება, დიდი ხანი ერთმანეთს ვეღარ შევხვდეთო. მაშინ არც ბიძინა აპირებდა პოლიტიკაში ჩემს ჩართვას, მაგრამ მერე, სოზარმა შესთავაზა ჩემი კანდიდატურა და დათანხმდა.

— სუბარის „დაღუპული“ ყოფილხართ...

— ნამდვილად ასეა, ამიტომ რაკი პოლიტიკაში მაინც შემოვედი, შევეცდები, ჩოხატაურს ჩემი კვალი დავატყო.

პოლიციელების მკვლელების „ჯოჯოხეთი“ ზონაზე გადაყვანამდე

რატომ იბრალებენ პატიმრები ციხეში სამართალდამცველების „გასალებას“

პატიმარი №0578

ბექა მარგიშვილი და ვალერიან გრძელიშვილი ვარკეთილში, ჯავახეთის ქუჩაზე სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებდნენ. მოქალაქე გააჩერეს, რომელმაც მოულოდნელად, ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გახსნა და ორივე პოლიციელი დაჭრა. ბექა მარგიშვილი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა, გრძელიშვილი უმძიმეს მდგომარეობაშია. ასეთია ოფიციალური ცნობა, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს და მომხდარის გამო მწუხარებას გამოთქვამს. ჩვენ კი, იმედს ვიტოვებთ, რომ ეს დანაშაული უმოკლეს დროში გაიხსნება და შეგრძნება, რომ საქართველოში პოლიციელებიც კი არ არიან დაცულები, არ გვექნება. ასეც არ იყოს, პოლიციელის მკვლელობის გამოძიება ხელისუფლებისთვის ღირსების საქმეა...

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პოლიციელის არაერთი მკვლელი იხდის სასჯელს. მათ თავიდან ჯოჯოხეთის გავლა უწევთ — იქ მომუშავე პერსონალს კოლეგის სიკვდილი მძიმედ გადააქვს და პატიმარს დაუნდობლად ექცევა, რასაც, სხვათა შორის, სხვა პატიმრებიც არ თუ ვერ აპროტესტებენ — იციან, ანალოგიური დამოკიდებულება ექნებოდათ ბადრაგის მიმართ, რომელიმე პატიმარი რომ შემოკვდომოდა.

სამაგიეროდ, ზონაზე ასეთი პატიმარი „გმირია“, რადგან „მტერი“ მოკლა. ასეთია კარაბადინი, რომელშიც კრიმინალები იხედებიან და, სამწუხაროდ, არ ფიქრობენ, რომ კაცის კვლა უდიდესი ცოდვაა.

„ეს ახალი პატიმარი ვინ არის, ასე ყინჩად რომ უჭირავს თავი? არადა, პატარაა ასაკით და ისე იყურება, თითქოს ყარსის ციხე აიღო“, — ჰკითხა პატიმარმა №0578-მა მაყურებელს და თან ერთ-ერთ პატიმარზე მიანიშნა.

„ჰო, პატარაა... ამ პატარამ პოლიციელი მოკლა. ჩხუბის დროს დანა დაარტყა და მოკვდა. მერე, კარგი ადვოკატი დაითრია და... იტოგში, მარტო რვა წელი მისცეს. მაგიტომ უჭირავს თავი ასე — აქ პოლიციელის მკვლელი კაი ტიპია, მაგრამ ეგ უტვინოა, ქურდულის არაფერი ესმის და ცხვირს წაიმტვრევს“, — უპასუხა მაყურებელმა.

„რომელი პოლიციელი? არ მახსოვს, ბოლო დროს მოეკლათ ვინმე და ძველი ამბავი გაუხსენეს?!“, — გაუკვირდა №0578-ს.

„არა, რა ძველი, შარშან მოკლა, სათამაშო აპარატებზე იყო შესული, დაცვის თანამშრომელი დაბრიდა“, — დაუკონკრეტა მაყურებელმა.

„გამაგიჟებთ თქვენ. ჯერ ერთი, კაცს რომ მოკლავ, უკვე დანაშაულია გარეთაც და აქაც. არ მესმის თქვენი ქურდული კარაბადინის ეგ მუხლი და მეორეც, დაცვის თანამშრომელს პოლიციელს როდიდან ეძახით? ზოგი, ჯარის ნაცვლად, მიდის დაცვის პოლიციაში და იქ იხდის სავალდებულო სამსახურს. ეგებ, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ჯარისკაცი იყო“, — თავი გააქნია №0578-მა.

„ჰო, მაგრამ, აბა, ვიშკიორებს გახედე. ეგენიც ჯარისკაცები არიან, მაგრამ, თუ გაქცევას დააპირებ, დაუფიქრებლად გესვრიან. ეს ერთი და მეორეც — შენ თავად თქვი, დაცვის პოლიციაო და პოლიცია პოლიციაა, რა. რაც შეეხება ქურდულ კარაბადინს, ბოლო დროს ხშირად ახსენებ — ეს არ მომწონს, ის არ მომწონსო და შეეშვი, დაგისერიოზულებს ვინმე მაგ ამბავს, ქურდულს რა პონტში აკრიტიკებო და მერე ჩემი თავშისაცემი იქნები“, — ურჩია მაყურებელმა.

ამ ამბიდან ორ თვეში ზონაზე პატიმრების ახალი ნაკადი მოვიდა. მათ შორის გოგა ნ-ც იყო, პატიმარი, რომელსაც ყველა იცნობდა და, რომელსაც ქურდულ სამყაროში ხმამაღალი სიტყვა ეთქმოდა. გოგას მაყურებლების კამერაში მაშინვე გამოუნახეს ადგილი და ისიც მშვიდად შევიდა. იცოდა თავის ფასი და ისიც იცოდა, რომ ზონაზე მისი დარი სახელით ბევრი არ იყო. პატიმარი №0578 გოგას გარედან იცნობდა.

„აქ რომ კაცს ნახავ, როგორ უნდა გაგიხარდეს, მაგრამ მიხარია, აქ რომ ხარ. ჩემებმა მითხრეს, 11 წელი მისცესო და ჩემი სროკის გათვალისწინებით, კაიხანს მოგვიწევს ერთად ყოფნა. რამე ხომ არ გინდა, ორი დღის მოსული ხარ მაინც“, — ღიმილით უთხრა №0578-მა.

„რაც მინდა, ყველაფერი მაქვს. შენ როგორ ხარ? ვინმე ხომ არ გიხურებს? ისევ ისე ტვინს ბურღავ და აგიჟებ ხალხს თუ დამშვიდდი?!“ — გაუცინა გოგამ.

„არა, მე რა დამამშვიდებს, ისევ ისეთი ცნობისმოყვარე ვარ, ისევ ისეთი აუტანელი, შენ რომ გახსოვს. რა ვქნა, დრო ხომ უნდა გავიყვანო. წამო, შაქრიან ყავას დაგალევინებ“, — უთხრა №0578-მა.

„შენ შაქარი საიდან? მაყურებლებს არ ჰქონდათ, წეღან მოვიკითხე“, — გაუკვირდა გოგას.

„ასანთის კოლოფს აძლევენ მაყურებლებს კაზიოლები კვირაში ერთხელ. ავუხსენი, თქვენ ექვსი ხართ, არ გეყოფათ მაინც და მე მომეცით, თან შევინახავ, თან ხანდახან გაგიმასპინძლდებით-მეთქი და ახლა იქ მისატანი ჩემთან მოაქვთ. სულ მაქვს. ესენიც ამოდიან, როცა გაახსენდებათ და დამადლებით ვაძლევ. შაქრიანი მე ისედაც არ მიყვარს და კი მაქვს ამ ასანთის კოლოფებით ნაგროვები ასე ნახევარ კილომდე. ხმამაღლა არ თქვა, ოღონდ, იტყვიან მერე, ბრაგა გავაკეთოთო და მთელ შაქარს იმ იდიოტობაში დახარჯავენ, სასმელს რომ ეძახიან და, სინამდვილეში, შხამია“, — გაუღიმა №0578-მა.

„კარგი, წამოვალ და... აქ ყველას იცნობ?! ერთ კაცს ვეძებ, იმიტომ წამოვედი აქეთ, თორემ ქსანში ზონას ვუყურებდი და ჩიტის რძე არ მაკლდა. ერთი კაცი უნდა ვნახო, კითხვები მაქვს. მაყურებლებისთვის არ მითქვამს ჯერ, რაღაცები უნდა გადავამოწმო კიდევ და მერე ბაზარიც იქნება“, — გოგამ მეგობარს თვალებში შეხედა.

„ჩათვალე, პატიმრების უდიდეს ნაწილს არათუ ვიცნობ, არამედ ის ვიცი, რაზეა დაჭერილი, რამდენი აქვს სროკი და ზოგადად, რით სუნთქავს. მაყურებლები ზონის ენციკლოპედიას მეძახიან და ჩემზე უკეთ ვერავინ აგიხსნის“, — უთხრა №0578-მა და კამერაში შევიდა.

ყავა მოადუღეს, მოწრუპეს და გოგამ დაიწყო.

„შარშან სათამაშო აპარატებში ბიჭი მოკლეს. ჩემი ძმაკაცი იყო, ცხონებული. მაგის ძმა დაცვაში მუშაობდა იქ, ამან, უბრალოდ, მიაკითხა, შესცივდა და ძმას ქურთუკი გამოართვა. პოლიციელის ქურთუკი ეცვა, ჩხუბი რომ ატყდა, ესეც ჩაერია და ერთმა დანაზე წამოაგო. ახლა მითხრეს, ის ბიჭი აქ მოუყვანიათო, ბლატაობს, ძაღლი მოვკალიო და მაგის ნახვა მინდა. ცუდი, იცი, რა არის? ზუსტად აუხსნეს სასამართლოზე, რომ ვინც მოკლა, პოლიციელი არ იყო და ამან დამალა, მაინც გაიძახის, ნაბოზვარი ძაღლი დავბრიდეო და მაგას გავანაბოზვრებ, გოგა თუ მქვია“, — ჩუმად თქვა პატიმარმა.

„ვიცი... როგორ არ ვიცი ეგ ტიპი. ამირანი ჰქვია, გაბღენძილი დადის. მაყურებელმა თქვა ეგ ამბავი, მაგრამ არ იცის, როგორც ჩანს, დეტალები. ისე, მაგარ ჯანზეა, დღე და ღამე ვარჯიშობს, მაგრამ მაგის კუნთები დამახატოს აგერ. თუ სიმართლე ჩვენს მხარესაა, ჩათვალე, მაგრად დაილეწება“, — უთხრა №0578-მა.

„არა, დალეწვით მარტო მე დავლეწავ, სხვა არ მინდა, ჩაერიოს, მაგრამ ბაზარს მაყურებლებიც უნდა დაესწრონ და ზონის ბლატატაც, რომ იცოდნენ, რისთვის ვცემ“, — დაამაზუსტა გოგამ.

„მე გამოგრჩი. ჩემს გარეშე არ იქნება ეგ ბაზარი და მაგრად მეწყინება, თუ გამომტოვებ“, — უთხრა №0578-მა და გოგამაც, თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია.

მესამე დღეს ამირანს მაყურებლების კამერაში დაუძახეს. ამაყად შევიდა, მაყურებლებს ხელი ჩამოართვა და ნარზე ჩამოჯდა.

„მომისმინე, ამირან, ეს ჩვენი ძმაა, გოგა ჰქვია, ახლა მოიყვანეს. ჩვენ მოსმენილი გვაქვს შენი ისტორია, ამასაც უნდა, მოისმინოს, აინტერესებს რაღაცები და კითხვებიც აქვს“, — მშვიდად აუხსნა მაყურებელმა საქმის მდგომარეობა.

„მერამდენედ უნდა მომაყოლოთ, ის ნაბოზვარი როგორ დავბრიდე?!“ — გაბრაზებით თქვა ამირანმა და...

„კარგია, შენი პირით რომ ამბობ მაგას. დამტკიცება მოგიწევს, ნაბოზვარი იყო თუ არა. ახლა დაიწყე და დალაგებით მოყევი, არაფერი გამოგრჩეს, იცოდე“, — ჩაილაპარაკა გოგამ და ამირანიც თითქოს შეცბა, მაგრამ დაიწყო.

„სათამაშოდ მივედით, ძმაკაცებთან ერთად. ათას ლარზე მეტი წავაგეთ, „პოსლეზე“ გვინდოდა თამაში, „ზამაზკაში“ ვიყავით და უარი გვითხრეს. მერე ყვირილზე გადავიდნენ და ჩხუბიც ატყდა. დაგვესია დაცვა და მაგ დროს დანა მოვიქნიე. დაცვის ერთ-ერთ წევრს დავარტყი და გამოვიქეცით. თურმე კამერები ეყენა შიგნით და დაგვაფიქსირეს. მე დამიჭირეს და ახლა აქ ვარ. სამაგიეროდ, გარეთ ერთი ნაბოზვრით ნაკლებია“, — ერთ წინადადებაში დაასრულა ამირანმა თავისი ისტორია.

„მეტი არაფერი?!“ — ჰკითხა გოგამ.

„მეტი, რა?! გასვენების ხარჯები მე არ ვიცი და...“, — ირონიულად თქვა ამირანმა.

„კარგი, ახლა მე მომისმინე, ნაბიჭვარო. შენ უკვე დაჭერიდან ერთ საათში იცოდი, რომ, პოლიციელი კი არა, დაცვის თანამშრომლის ძმა მოკალი. ისიც იცოდი, რომ ის შენი მოკლული კაიბიჭების ბრატი იყო და ეს ყველაფერი დამალე. გასვენების ხარჯებიც შენ და შენმა ოჯახმა გაიღეთ და საფლავიც თქვენ გააკეთეთ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ოჯახი გაჩუმდა, იმიტომ, რომ შენიანები არ გაეჟუჟათ, მაგის შიში გქონდა. ახლა აქ დადიხარ და ნაბოზვარი მოვკალიო, ამბობ. თუ ტყუილი ვთქვი რამე, მითხარი“, — გოგა წამოდგა და ამირანს წინ აესვეტა.

ამირანმა თავი ჩაღუნდა და სიჩუმე ისევ გოგამ დაარღვია: „არავინ ჩაერიოს! ამას კი არ გთხოვთ, მოვითხოვ. შენ კი, იმის გამო, რაც აქამდე იტყუე, მოგხვდება“.

ამის შემდეგ მაყურებლები იმას უყურებდნენ, როგორ სცემდა ამირანს გოგა. ჩარევა არავის უფიქრია. გოგა მანამ არ გაჩერდა, სანამ არ დაიღალა. ამირანი ჩუმად გაიძურწა კამერიდან, მეორე დღეს კი სხვა ზონაზე წავიდა.

„წავედი ახლა, ძმა, ქუთაისში. იქეთ წასულა ის ამირანი და ახლა იქაც იგივე რომ არ იბლატაოს, ჩავუსწრო მინდა“, — გოგა №0578-ს დაემშვიდობა.

გოგა დღეს იტალიაშია და, როგორც თავად ამბობს, საქართველოში ჩამოსვლა კრიმინალური ავტორიტეტის სახელის გამო აქვს აკრძალული.

ვერსიანიუსი

შსს-მ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

შსს-ს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული ლევან ქ. მკვლელობის ბრალდებით, მცხეთის რაიონის სოფელ მამკოდაში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 6 აპრილს, საღამოს საათებში, სოფელ მამკოდის მიმდებარე ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1962 წელს დაბადებულ ბესარიონ დ-ს გულმკერდისა და კისრის არეში დანით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიყენებული ჭრილობების შედეგად ბესარიონ დ. ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა ლევან ქ. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ცხელ კვალზე დააკავეს. დანაშაულის იარაღი — დანა, ნივთმტკიცებად ამოღებულია. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

შსს-მ ზუგდიდის რაიონში მომხდარი ყაჩაღობა გახსნა

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული, წარსულში ყაჩაღობისა და ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი რომან ა. ყაჩაღობის ბრალდებით წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ რომან ა. მიმდინარე წლის 20 მარტს, საღამოს საათებში, თანმხლებ პირებთან ერთად, ცეცხლსასროლი იარაღით თავს დაესხა ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხორიაში მცხოვრები თეიმურაზ თ-ს ოჯახს. თავდამსხმელებმა იარაღის მუქარით გაიტაცეს სხვადასხვა დასახელების საოჯახო ნივთი, ოქროული და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას თეიმურაზ თ-ს სახლიდან გატაცებული ჯიბის საათი, ხოლო მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას — ნაყაჩაღარი ნივთების ნაწილი და დანაშაულის იარაღი — გადაჭრილი თოფი, ე.წ. აბრეზი ნივთმტკიცებად ამოიღეს. ფოთში მდებარე ლომბარდიდან კი ამოღებულია ყაჩაღობისას მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ოქროსა და ვერცხლის სხვადასხვა ნაკეთობა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

ყაჩაღობაში მონაწილე სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით, ამ დროისთვის, მიმდინარეობს ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებები.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

„აგრესიას იგნორირება განაიარაღებს!“

როდის როგორ მოვექცეთ აგრესიულ ბავშვს — რჩევები მშობლებს

მაკა ლომაძე
555-27-95-13

სამწუხაროდ, აგრესიული ფონი უფრო და უფრო იზრდება. აგრესია სხვადასხვა ფორმითაა გამოხატული და ხშირად, საზოგადოებისთვის საშიშიც ხდება. ყველაზე აგრესიული ადამიანების ფსიქოპორტრეტის შესწავლას ფსიქოლოგები ბავშვობიდან იწყებენ, რადგან, როგორც სენტ ეგზიუპერიმ თქვა, „ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ“. ხშირად, ღრმა ბავშვობაში მიღებული ტრავმები ზრდასრულ ასაკში აგრესიის გამოვლინების მიზეზია. ამ ფონზე, აუცილებელია, დავაკვირდეთ ბავშვის ქცევას, რათა, საჭიროების შემთხვევაში, მისი სასიკეთოდ „გარდაქმნა“ ადრეულ ასაკშივე შევძლოთ. ამაში კი, ფსიქოლოგ მაია გოგიჩაძის თქმით, მთავარ როლს, სპეციალისტთან ურთიერთობა და სპორტული აქტივობა ასრულებს:

— როგორც ვიცით, აგრესია, გარკვეული დოზით, ნორმაცაა. სად გადის ზღვარი ნორმასა და გადაჭარბებას შორის და რა არ უნდა გამორჩეს მშობელს?

— აგრესია ინსტინქტური ქცევაა და ამა თუ იმ დოზით ყველა ადამიანს ახასიათებს. აგრესიული ქცევის მიზანი თავდაცვა და თვითგადარჩენაა. ასაკის მატებასთან ერთად, ადამიანი სწავლობს აგრესიის კონტროლს და აგრესიაც, სოციალურად მისაღებ ფორმას იღებს. მკაცრი ზღვარი არ არსებობს, თუმცა, თუ აგრესიულ ქცევას ზიანი მოაქვს სხვა ადამიანისთვის, უკვე გადაჭარბებაა. რაც შეეხება მშობელს, მან აგრესიული ქცევის პირველივე გამოვლინებაზე უნდა დაიწყოს ზრუნვა აგრესიის წყაროს აღმოსაჩენად.

— რა არის აგრესიის გამომწვევი მთავარი მიზეზი ბავშვში და როგორ აღვკვეთოთ იგი?

— ახალშობილი გამოხატავს ორგვარ რეაქციას: სიამოვნებას — როცა არაფერი აწუხებს და უსიამოვნებას — როდესაც დისკომფორტს განიცდის. დადებითი ემოციების გარეგნული გამოხატულებაა ღუღუნი, ღიმილი, მშვიდი ძილი. დისკომფორტის დროს კი ტირის, კივის, ერღვევა ძილი... მოზრდილ ასაკში ავლენს დესტრუქციულ ქცევას თანატოლების ან საყვარელი ნივთების მიმართ. ანუ აგრესია არის გარკვეული რეაქცია დისკომფორტზე — თუ არსებობს გარეგანი მიზეზი და ქცევა ახსნადია, მაშინ შესაძლებელია მისი კორექტირება, მაგრამ, როცა აგრესიას ახსნა არ აქვს ან წრეგადასულია და გამოირჩევა სისასტიკით, ადგილი აქვს გარკვეულ პათოლოგიას და მას სპეციფიკური ჩარევა სჭირდება.

— ხშირად ბავშვები აგრესიას ყურადღების მისაქცევადაც ავლენენ...

— დიახ და ამიტომ ვამბობ, როცა აგრესია გასაგები და ახსნადია, სწორი მიდგომით, შესაძლებელია მისი კორექცია. ბავშვს უნდა მივცეთ საშუალება, აგვიხსნას ამა თუ იმ ქცევის მიზეზი.

აგრესიული ქცევის გამოვლენისთანავე, საჭიროა უფროსების სასწრაფო რეაგირება. კონფლიქტის პოზიტიურად გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია, უფროსებმა გაითვალისწინონ შემდეგი: არ უპასუხონ აგრესიით! უმნიშვნელო აგრესიის შემთხვევაში, უფროსმა უნდა მოახერხოს ბავშვის/მოზარდის ქცევის სრული იგნორირება; გამოხატოს თანაგრძნობა ბავშვის გრძნობების მიმართ; გადაატანინოს ყურადღება; ქცევის პოზიტიურ ჭრილში განხილვა: „შენ ბრაზობ იმიტომ, რომ დაიღალე“. ამ დროს მნიშვნელოვანია, მშობლები და პედაგოგები იყვნენ გულახდილები. მათი სიტყვები უნდა შეესატყვისებოდეს გამომეტყველებას, პოზას, საუბრის ტონს. აქცენტი უნდა კეთდებოდეს საქციელზე ისე, რომ არ შევეხოთ მის პიროვნებას.
რომ არ გამყარდეს აგრესიული ქცევა, საჭიროა, უფროსმა აკონტროლოს საკუთარი უარყოფითი ემოციები: გაბრაზება, ყვირილი, ცემა, სარკაზმი, შეურაცხყოფა სახალხოდ. უფროსი ყველანაირად უნდა ეცადოს, შეუნარჩუნოს ბავშვს დადებითი რეპუტაცია.

აგრესიულობა ბავშვებში დიდი პრობლემაა არა მარტო პედაგოგების, ექიმებისა და მშობლებისთვის, არამედ მთლიანად საზოგადოებისთვის. აგრესიული ბავშვების რაოდენობის ზრდას რიგი ფაქტორები იწვევს — ყოველდღიურად უარესდება ბავშვების სოციო-ეკონომიკური პირობები, ბავშვის ფსიქონევროლოგიური აღზრდის მიმართ უყურადღებო დამოკიდებულებაა როგორც სკოლის, ასევე ოჯახის მხრიდან. არის ოჯახური აღზრდის დეფიციტი; პათოლოგიური მშობიარობის რიცხვი იზრდება, რაც მძიმე კვალს ტოვებს ბავშვის ფსიქონევროლოგიურ განვითარებაზე; მნიშვნელოვან როლს ასრულებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და კინოვიდეოინდუსტრია. კერძოდ, ძალადობის მუდმივი რეკლამირება, აგრესიული ვიდეოთამაშები. სამეცნიერო ინტერესი, ძირითადად, აგრესიის მექანიზმებსა და მისი გამოვლენის ფორმებს ეხება. მნიშვნელოვანია ქცევის კორექცია, თერაპია და პრევენცია სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან, როცა აგრესია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია.

— პრაქტიკა აჩვენებს, რომ ბიჭები გოგონებზე აგრესიულები არიან. რა კავშირშია ეს ფიზიკურ ენერგიასთან და როგორ დავახარჯვინოთ ენერგია ბავშვს სწორად?

— ბიჭები ფიზიკურად ძლიერები არიან, ვიდრე გოგონები, ამიტომ ისინი უფრო გამოხატავენ აგრესიულ ქცევას სხვების მიმართ. უფროსებმა ბავშვებს კონსტრუქციული ქცევის მაგალითი უნდა აჩვენონ. აგრესიის სწორად წარმართვის ერთ-ერთი გზაა სპორტი, რეგულარული ურთიერთობა ფსიქოლოგთან კი მშობელს აღმზრდელობითი პროცესის სწორად წარმართვაში დაეხმარება.

— არსებობენ სრულიად არააგრესიული ბავშვებიც. ეს მათ კეთილშობილურ ბუნებაზე მეტყველებს თუ რაიმე დარღვევაზე და როგორ მოიქცნენ ასეთი ბავშვების მშობლები?

— ამ შემთხვევაში, ალბათ, მთავარია, ბავშვს ვასწავლოთ თავდაცვა, გავზარდოთ ფსიქო-ფიზიკურად ჯანმრთელი, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ადამიანი, რომელიც არ წამოეგება „აგრესიული ქცევის პროვოკაციას“ და აგრესიაზე აგრესიითვე არ უპასუხებს. ამით ის მოახერხებს აგრესორის განიარაღებას. აგრესიული ქცევის ერთ-ერთი მიზანი ყურადღების მიქცევაა. ყოველი საპასუხო რეაქცია თითქოს კვებავს მათ სურვილს, მეტად მიიქციონ ყურადღება და აგრესიის ხარისხი იზრდება. მათი განიარაღება კი სწორედ ქცევის იგნორირებით შეიძლება.

— არსებობს, აგრესიის უფრო „რბილი“ ფორმები — ტირილი, წუწუნი, ბუზღუნი... წუწუნა ადამიანი სხვებს ძალას აცლის ანუ უარყოფით ენერგიას გასცემს?

— დიახ. ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა მოსაწყენი და უინტერესოა. თავისთავად, მათ ყურადღების მიქცევის ეს ფორმა აქვთ არჩეული. ტირილი, წუწუნი, ბუზღუნი ხომ უმარტივესი ფორმაა. მათ ალბათ უნდა დავანახოთ, რომ ასე არაფერი გამოუვათ და ეს უარყოფითი ენერგია თავად მიუბრუნდებათ.

— აგრესია ზოგჯერ წარმატების სინონიმად გამოიყენება. მაგალითად, სპორტში — „აგრესიულად შეუტია“, სამსახურში — „აგრესიულობა აკლია“. რა შემთხვევაში შეიძლება აგრესია იყოს დადებითი და როგორ გარდავქმნათ იგი ასეთად?

— „აგრესიული შეტევა“ სპორტის საბრძოლო სახეობებში მისაღებია. სხვა შემთხვევაში, მიმაჩნია, რომ ამ ფრაზების წარმომთქმელს წარმოდგენა არ აქვთ, რა არის აგრესია და რა სავალალო შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს დაუფიქრებელმა და მოდასაყოლილმა გამოთქმებმა. რაც შეეხება აგრესიის დადებითად გარდაქმნას — მხოლოდ შეგონებითა და დასჯით ვერაფერს მივაღწევთ. უნდა ვეცადოთ, ენერგია, რასაც ბავშვი აგრესიულ ქცევაზე ხარჯავს, სხვა მიმართულებით წარვმართოთ: ჩავუნაცვლოთ სპორტით, გავატაროთ მეტი დრო მასთან, ვაყურებინოთ არააგრესიული ფილმები და შევეცადოთ, მივცეთ კონფლიქტური ვითარების კონსტრუქციული გზით გადაჭრის მაგალითი.

„ლარის გაუფასურებამ ყვავილების მოყვარულთა ჯიბეზეც იმოქმედა, დღეში 5 ლარს ძლივს ვშოულობ“

ყვავიღების გამყიდველი მარინას დაკარგული 250 ლარი და ჯერჯერობით აუხდენელი ოცნებები

ნინი ჯაფარიძე

დინამოს სტადიონთან, აკაკის ძეგლის მოპირდაპირედ, ქალები ყვავილებს ყიდიან. ყვითელი ფერი ჭარბობს — ნარცისი, ყველა ყვავილთან შედარებით, იაფია და შესაბამისად, უკეთ იყიდება. დოლარი გაძვირდა და ვარდი აღარ გვეყიდებაო, — წუხან „ყვავილების დედოფლები“. მათგან ერთი, განსაკუთრებით აქტიურია. მარინა ჰქვია... მკვეთრი მაკიაჟი, ჭრელი სამოსი, ხმამაღალი საუბარი და ემოციური მანერები მარინას ყველასგან განასხვავებს. არც ქმარ-შვილი ჰყავს, მშობლებიც დიდი ხნის წინ დაეღუპა, მაგრამ არ მიიჩნევს, რომ უბედურია. ერთადერთი, რაც ცხოვრებაში ვერ დავამარცხე, გაჭირვებააო, ამბობს.

დღეს მისი ავლა-დიდება 3 დიდი კონა ნარცისი და 5 კონა იაა. არც დახლი აქვს, არც მაღაზია, მთელი დღის განმავლობაში გარეთ, ღია ცისქვეშ უწევს დგომა. დილის 5 საათზე დგება და სამგორში მიდის, რომ ახლადდაკრეფილი ყვავილები შეიძინოს და სხვას მიყიდოს. დიდ კონებს ყიდულობს, ყუნწს აჭრის, ანაწილებს და ასე ამზადებს გასაყიდად. გაყიდვა სამ დღეში უნდა მოასწროს — მერე ყვავილები ჭკნება. ნარცისები და იები, შავ ყუთებზე დადებულ ხის ფიცარზე, პლასტმასის ქილებში უწყვია.

ამბობს, რომ ლარის გაუფასურებამ ყვავილების მოყვარულთა ჯიბეზეც იმოქმედა. თუ შარშან, გაზაფხულზე დღეში 10 ლარს ვაჭრობდა, დღეს 5 ლარზე მეტს ვერ შოულობს. მისი ყველაზე დიდი გასაჭირი ის არის, რომ სტაბილური სამსახური არ აქვს. თანახმაა, ყიდდეს ყვავილებს, თუნდაც სიცოცხლის ბოლომდე, მაგრამ მხოლოდ იქ, სადაც დაცული იქნება: **„წინა მთავრობა გარემოვაჭრეებს ისე დევნიდა, გარეთ გამოსვლაც კი მეშინოდა. მაშინ მეორად ტანსაცმელს ვყიდდი. სამჯერ დამაჯარიმეს. ორჯერ ას-ასი ლარით, მესამედ კი მთელი საქონელი — 120 ლარის ტანსაცმელი წამართვეს. ვევედრებოდი, გაჩერდით, მესამე ჯარიმა გამომიწერეთ და გადავიხდი, 20 ლარს მაინც დავზოგავ-თქო, მაგრამ არავინ მომისმინა. დღეს გარემოვაჭრეებს ისე აღარ დევნიან, მაგრამ მაინც გვეშინია — გარეთ ვაჭრობა არ არის დაშვებული, ჩვენ კი გვიჭირს და მაინც ვვაჭრობთ. ადრე, პატრულს რომ დავინახავდით, ძეგლის უკან ვიმალებოდით. დღეს ეს პრობლემა აღარ დგას, ტყუილს როგორ ვიტყვი. აქ დგომისთვისაც არაფერს ვიხდით. ან კი, როგორ უნდა გადავიხადოთ, მთელი დღის განმავლობაში, 5 ლარზე მეტი ვერ მივაჭრია“.**

მარინას თქმით, კარგია, ახალი მთავრობა გარემოვაჭრეებს რომ არ დევნის, მაგრამ ამგვარ ვაჭრობას უარყოფითი მხარეც აქვს: **„ბევრჯერ გამქურდეს. უკან, პარკში, ათასი რჯულის ხალხი იკრიბება. დავინახე, როგორ მიუახლოვდა ახალგაზრდა ბიჭი ჩემს ჩანთას და საფულე ამომაცალა. მაშინ საფულეში 250 ლარი მქონდა. ეს 21 იანვარს მოხდა. ალბათ იცოდა, ახალი საქონლის მოტანას რომ ვაპირებდი, თორემ არ გარისკავდა. ჩემს გარშემო სულ კამერებია, თუმცა მისი დაფიქსირება ვერავინ შეძლო. კარგი იქნება, ამ თანხას თუ დავიბრუნებ, მაგრამ უკვე ეჭვი მეპარება. მინდა, ყველა გარემოვაჭრე დაცული იყოს და ასეთი პრობლემები აღარავის ექმნებოდეს. ჩვენთვის 1 ლარიც კი ბევრია, არამცთუ 250. მგონია, თუ მოინდომებენ ჩემს დახმარებას, აუცილებლად შეძლებენ. აუცილებლად იპოვიან, ვინც გამქურდა“.**

მარინას პირადი სურვილებიც აქვს, უფრო სწორად, ოცნება: **„ვოცნებობ, მქონდეს ჩემი სახლი, პატარა, ჭრელი და ლამაზი. ეზო მექნება, დავრგავ ყვავილებს, თუ მომინდება, გავყიდი კიდეც. არც მრავალშვილიანი დედა ვარ, არც დევნილი და არც განსაკუთრებული განათლება მაქვს, მაგრამ მგონია, ოდესმე მაინც მექნება საკუთარი სახლი“.**

ყვავილების გამყიდველი იმაზეც ოცნებობს, ძმისშვილები, 18 წლის გურამი და 12 წლის გურანდა, რომლებსაც დედინაცვალი ზრდის, მის გვერდით იყვნენ. სურს, თავად იზრუნოს მოზარდებზე: **„18 წლის გურამს განსაკუთრებით ვჭირდები. რთული პერიოდი ჰქონდა. 5 წლის წინ ბავშვებს დედა კიბოთი გარდაეცვალათ. დედინაცვალი ზრდის. არც ჩემი ძმა მუშაობს, არც რძალი, ბავშვებს ვერავინ ეხმარება, მინდა, აქ იყვნენ. პურის ფულს მაინც ვშოულობ. დავეხმარები, როგორც შევძლებ... გაზაფხულდა, მალე ზაფხულიც მოვა და ვინ იცის, იქნებ იმდენი ყვავილი გავყიდო, ბინის ყიდვა შევძლო, ვინ იცის...“**

ბათუმის მე-3 საპყრობილის ყოფილი დირექტორის გახმაურებული საქმე

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ ბათუმიდან

ბათუმის მე-3 საპყრობილის ყოფილი დირექტორის, გიორგი ვეკუასა და მისი მოადგილის, ზაზა ჯიქიას სისხლის სამართლის საქმეს მოსამართლე დავით მამისეიშვილი ოც თვეზე მეტია განიხილავს. სასამართლო ჯერ მტკიცებულებების მოკვლევის ეტაპზეა. პროკურორის თქმით, თუ საქმის განხილვა ამ გრაფიკით გაგრძელდა, კიდევ 22 წელი დასჭირდება განაჩენის გამოტანას. საქმეში ასზე მეტი დაზარალებულია, რომლებიც ამბობენ, რომ ბრალდებულები პატიმრებს სცემდნენ, აწამებდნენ და არაადამიანურად ეპყრობოდნენ. ბრალდებულები პატიმრობიდან გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

პროკურორმა **ირაკლი დონდოლაძემ,** სასამართლო სხდომის დაწყებისთანავე, სწრაფი და ეფექტური გამოძიების მიზნით, საქმეზე სათადარიგო მოსამართლის დანიშვნა ითხოვა: **„საქმეში ასზე მეტი დაზარალებულია, ისინი მოწმის სტატუსით უნდა დაიკითხონ. თუ მოსამართლე შეიცვალა, სასამართლო გამოძიება თავიდან უნდა დავიწყოთ. ვითხოვ სათადარიგო მოსამართლის დანიშვნას“.**

პროკურორის მოთხოვნამ მოსამართლე **დავით მამისეიშვილი** გააღიზიანა: **„თქვენ, ბატონო პროკურორო, ხომ არ გაქვთ ინფორმაცია ჩემი უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეჩერების ან სადმე გადაყვანის თაობაზე? ან რამდენი სათადარიგო მოსამართლის დანიშვნას ითხოვთ? ვინ წარმოგიდგენიათ სათადარიგო მოსამართლედ? ან, იცით, როდის მეწურება მოსამართლის უფლებამოსილების ვადა? ეს ვადა 2018 წლამდე მაქვს“.**

მოსამართლემ პროკურორს უთხრა, რომ „მოსაზრების დაფიქსირება შეუძლია ქუჩაში“ და არც მისი შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

ამის შემდეგ, ბრალდებული ზაზა ჯიქიას ადვოკატმა, პაატა ბოლქვაძემ ბრალდებულისთვის პასპორტის დაბრუნება მოითხოვა, მიზეზად კი ის დაასახელა, რომ ბრალდებულს



სესხი დოლარში აქვს, ლარში სურს გადატანა და, რადგან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ გააჩნია, ვერ ახერხებს. მოსამართლის გადაწყვეტილებით, ბრალდებულს პასპორტს დაუბრუნებენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს კი გაეგზავნება სასამართლოს განკარგულება, რომლის მიხედვითაც ჯიქიას საზღვრის დატოვება აეკრძალება. მოსამართლის თქმით, თუ ეს გადაწყვეტილება შეუმსუბუქებს მდგომარეობას ბრალდებულს, მით უფრო მაშინ, როცა მხარეები ამაზე თანხმდებიან, სასამართლო სადამსჯელო ორგანო ვერ იქნება.

სასამართლომ ორი დაზარალებული მოწმის სტატუსით დაკითხა, ერთ-ერთმა გიორგი ვეკუა ვერ ამოიცნო და გვარიც შეცდომით, დაასახელა — გეკუა.

მოწმე ე.მ-ს ჩვენებიდან: **„29 წლის ვარ. 2007 წელს მოვხვდი ციხეში. 2009 წელს დაიძაბა მდგომარეობა მე-3 საპყრობილეში. მე თუ დავაშავე, ციხეში ვიჯექი. აი ისინი კი (ბრალდებულებისკენ უთითებს) მაყენებდნენ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. ნევროზი დამემართა, მქონდა სხეულზე დაჟეჟილობა. ექიმი ყურადღებას არ მაქცევდა, ვითმენდი ტკივილს. ერთხელ იმიტომ მცემეს, რომ ჩემს საკანში მყოფს კენჭის გავლა ჰქონდა და ექიმი მოვითხოვე. დუბინკები მირტყეს სახეში... ფილტვებში წყალი ჩამიდგა. ანაზღაურებას ვითხოვ. ჯანმრთელობა მინდა გამოვიკვლიო... რატომ არიან ესენი გარეთ, ამიხსნით?... რომ გვაწამებდნენ, ამის შესახებ სახალხო დამცველის წარმომადგენელს არ ვეუბნებოდით, არც ადვოკატისთვის მითქვამს არაფერი“.**

მოწმე დ.ჩ-ს ჩვენებიდან: **„ვხედავ, დარბაზში ბრალდებულების ნათესავები არიან, უხერხულია... მიჭირს ამ თემაზე ლაპარაკი. ამ ტკივილის დავიწყებას ვცდილობ. მესმოდა, როგორ ყვიროდნენ პატიმრები, როგორ სცემდნენ მათ. მესმოდა, მაგრამ ვერ ვხედავდი“.**

ბრალდებულის ადვოკატმა, სოსო ჯალაღონიამ მოწმეს ჰკითხა, თუ ვერ ხედავდი, რა იცი, რომ პატიმრებს სცემდნენ და რით ადასტურებ, რომ შენ გირტყამდნენო. **„აბა, ციხის თანამშრომლები სცემდნენ ერთმანეთს?.. მოიკითხეთ ყველასთან, ვინც 2009 წლის 30 ნოემბერს კამერა №42-ში იყო. გეტყვიან, როგორი შემიყვანეს საკანში“,** — განაცხადა მოწმემ. სოსო ჯალაღონია კი იმის გარკვევას შეეცადა, თუ მართლა სცემდნენ, პატიმარი რატომ არ გამოუტყდა ოჯახის წევრებს. **„თქვენ მოუყვებოდით დედას, რომ გაწამებდნენ? 75 წლისაა დედა. მას შეიძლება, გული გახეთქვოდა“,** — მოწმის კონტრშეკითხვას, ჯალაღონიამ, კითხვითვე უპასუხა: **„ცოლისთვისაც არ მოგიყოლიათ? აბა, როგორ დავიჯერო, რომ გაწამებდნენ?“. „ცოლს რა, გული არ აქვს?“** — რკინის არგუმენტი მოიშველია მოწმემ. ბრალდებულის ადვოკატი კი იმის გარკვევას შეეცადა, გროვდებოდა თუ არა ციხეში „ობშჩიაკები“, თამაშობდნენ თუ არა პატიმრები აზარტულ თამაშებს და ჰყავდათ თუ არა მაყურებლები? ყველა ამ კითხვაზე მან უარყოფითი პასუხი მიიღო. შემდეგ, ბრალდებული გიორგი ვეკუა შეეცადა, გაერკვია, მოწმეს რა ურთიერთობა აქვს ქურდულ სამყაროსთან, — **„მე არც კრიმინალი ვარ და არც კანონიერი ქურდი“,** — მიუგო მოწმემ.

მხარეებს (საქმის მიხედვით — წამებაში ბრალდებულები და წამების მსხვერპლნი) შორის დიალოგმა, მიუხედავად იმისა, რომ მოწმე კანკალებდა, ზედმეტი დაბაძულობის გარეშე ჩაიარა.

გამოკითხვის დასრულების შემდეგ პროკურორმა თქვა, რომ გამოძახებული ჰყავდა მესამე მოწმე, რომელიც სასამართლოს ჰოლში მანდატურებმა ვერ იპოვეს, ამიტომ სხდომა ბრალდების მიზეზით გადაიდო. **„ასე, ბატონო პროკურორო, 22 წელიც არ გვეყოფა და 23 დაგვჭირდება ამ საქმის განსახილველად“,** — ნიშნისმოგებით უთხრა მოსამართლემ პროკურორს.

მე-3 საპყრობილის ყოფილ ხელმძღვანელს, გიორგი ვეკუასა და მის მოადგილეს, ზაზა ჯიქიას, სისხლის სამართლის კოდექსის 144.3-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ და „ზ“ პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ედებათ ბრალი, რაც სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, პირის დამცირებას ან იძულებას, ღირსებისა და პატივის შემლახავ არაადამიანურ მდგომარეობაში ჩაყენებას, ძლიერი ფიზიკური, ფსიქიკური ტკივილის ან მორალური ტანჯვის მიყენებას გულისხმობს და 4-6 წელი თავისუფლების აღკვეთით, ჯარიმით ან 5 წლამდე თანამდებობის დაკავებით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ისჯება.

ქართველი მძარცველის აღიარებითი ჩვენება

ვენაში, 50 ბინის ძარცვის გამო, საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს

ლევან ხვედელიძე,
„ვერსიისთვის“ ავსტრიიდან

ავსტრიულ გაზეთებში ქართველებზე დადებით ინფორმაციას იშვიათად წააწყდებით. პრინციპი ასეთია — „ასი ცუდი, ერთი კარგი“. მიუხედავად ამისა, დღემდე მაქვს იმედი, რომ დროდადრო, ჩემს თანამემამულეებზე უკეთეს მასალებს მომაწვდიან ან მოვიპოვებ. ბევრჯერ უკითხავთ ჩემთვის ქართველებს, რატომ არ ვაშუქებ შემთხვევებს, როცა საქართველოს მოქალაქეებს უსამართლოდ იჭერენ და სჯიან. ჩემი პასუხი ასეთია — მომაწოდეთ ფაქტები, რომელიც მათ უდანაშაულობას დაამტკიცებს და პირიქით, სიამოვნებით გამოვაქვეყნებ, პირადად წავალ სამინისტროში და მივაწვდი ინფორმაციას სამართალდამცავებს. შეიძლება, ისეც მოხდეს, ადამიანს დასაბუთება არ შეეძლოს, მაგრამ პასუხისმგებლობით განაცხადოს და დაადასტუროს ამა თუ იმ ქართველის უდანაშაულობა, მოწმედ დაუდგეს, სხვა მოწმე მოიყვანოს ან რაიმე სხვა ფორმა მოძებნოს. სამწუხაროდ, ასეთი რამ, ჯერჯერობით, არ მომხდარა — ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ყველა კულისებიდან საუბარს ამჯობინებს, ჩვენ კი საზოგადოებას დაუდასტურებელ და გადაუმოწმებელ ინფორმაციას ვერ მივაწვდით.

სამაგიეროდ, უხვადაა ისეთი ფაქტი, როცა ქართველები, თავისი საქციელით, ზოგადად, საქართველოს უტეხენ სახელს. ამჯერადაც მსგავს დანაშაულზე გიამბობთ — ავსტრიის კრიმინალური განყოფილების გამომძიებლებმა ბინის ძარცვის 50 საქმე გახსნეს. ავსტრიულ მედიაში კი გამოქვეყნდა

Fahnder des LKA klären 50 Coups auf

Einbrecher-Duo gefasst: 400.000 Euro erbeutet

Zwei gefasste Einbrecher haben bei 50 Straftaten 400.000 Euro Schaden angerichtet.

Wien. Die beiden Berufsverbrecher aus Georgien (32 und 46) wurden bei einem ihrer Coups in Wien-Penzing auf frischer Tat ertappt und von der Polizei festgenommen.

Im Zuge der Einvernahmen durch Beamte des LKA-West legte der Jüngere der beiden schließlich ein umfassendes Geständnis ab. Demnach haben die beiden Profis seit

Einbruchswerkzeug des Duos. Polizei

2013 fast 50 Einbrüche im Großraum Wien verübt. Der angerichtete Schaden und die Beute belaufen sich auf 400.000 Euro. Weitere Einbrüche durch das Duo sind nicht ausgeschlossen.

სტატია სათაურით: „დაჭერილი მძარცველთა დუეტი და 400 000 ევროს ზარალი“.

ორმა მძარცველმა 50 ბინა გაძარცვა, საბოლოო ზარალი კი, 400 000 ევროა. ორივე პროფესიონალი მძარცველი საქართველოდანაა, ერთი 32 წლის გახლავთ, მეორე — 46-ის. დამნაშავეები ავსტრიის დედაქალაქის ერთ-ერთ უბანში, პენცინგში, მორიგი ძარცვისას დაიჭირეს. დაკითხვისას, უმცროსმა ეჭვმიტანილმა წარმოუდგენელი აღიარება მისცა — თქვა, რომ 2013 წლიდან დღემდე, დაახლოებით, 50 ძარცვა აქვთ ჩადენილი ვენასა თუ ვენის შემოგარენში. არ არის გამორიცხული, მათ სახელს სხვა, უფრო მძიმე დანაშაულებიც უკავშირდებოდეს. გამოძიება მიმდინარეობს.

გელა ქოქიაშვილი

ქვათა მატიანე

გურჯაანიდან–ძველ ურიათუბანში

ჭერემის ქვეყანა

ვაზისუბნის „ღვთისმშობელი“: ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან, გარშემოსავლელი შიგნიდან

სოფელ ზემო გურჯაანიდან ქალაქ გურჯაანში ჩასვლას 6 თვე მოვანდომე!.. მიზეზი: ქრონიკული დაუფინანსებლობა.

2014 წლის ოქტომბრის მიწურულია. მე, ვიდეოოპერატორი სოზარ გულბანი, ჩემი მასპინძელი — რაიონის მთავარი მეტყეველერი ჩხეტიანი და მისი თანამშრომელი გიორგი ზავრიშვილი გურჯაანის სამხრეთ უბანში თვალმიხელაშვილების დანჯღრეულ „კოლხოზნიკში“ ვსხდებით და ტყეში შევდივართ...

რა მანქანა აღარ მინახავს, მაგრამ მსგავსი არა: წინა კარი ბოლომდე არ იხურება, სალონს ბრეზენტის ნაგლეჯებიღა შემორჩენია, სკამებზეც არ დაიჯდომება, მაგრამ გზას ისე იკვლევს, ჯავშანტრანსპორტიორი გეგონება. ტალახი, ლაფი, ოღრო-ჩოღრო, ლოდები, ვიწროები, აღმართი, წვრილი ხეები ამ მანქანისთვის დაუძლეველ წინააღმდეგობას სულაც არ წარმოადგენს. ტყეში ისეთი ხმაური ავტეხეთ, იფიქრებ, დათვების შემოსევაა. ჯეელმა ასმა გიორგი მებაღიშვილმა იმდენი მოახერხა, რომ ლამის ეკლესიაში შეგვიყვანა მანქანით (ეს ტაძარი მისი სახლიდან ჩრდილო-დასავლეთით, სულ რაღაც 2 კმ-შია). ... „**ტატიას საყდარი**“ IX-X საუკუნეების დარბაზული ეკლესიაა. მას სამხრეთისა და ჩრდილოეთის მინაშენები აქვს. საშენი მასალა: რიყის ქვა, აქა-იქ აგური. ეკლესიაში შესვლა მინაშენებიდან შეიძლება. ჩრდილოეთ მინაშენი სამხრეთისაზე ოდნავ განიერია. მთავარი დარბაზის საერთო კედელზე კამარის დამჭერი პლასტრებია მიდგმული, თუმცა სიტყვა „მიდგმული“, მგონი, უადგილოა. ისინი კედლიდან მოწყვეტილა, შუაზე გატეხილა და სადაცაა, ზღართანს მოადენს. ასეთივე მძიმე სანახავია ძირითადი დარბაზი (7X5მ.). მისი აფსიდი შუაზეა გაპობილი, კამარა კი რამდენიმე ადგილზეა ჩამონგრეული. ჩანს, ეკლესიაში დიდი ხანია სანთელი არ დანთებულა და ამიტომ აღარც ისაა გასაკვირი, რომ მისი ნამდვილი სახელი არავინ იცის. მეტსახელიც მხოლოდ იმიტომაა შემონახული, რომ აქაურებს მოხუცებულთა ნათქვამი აგონდებათ — ტაძარს ერთი დიაკვანი აკითხავდა ხოლმე, სახელად ტატიაო. ტატიას თურმე, ეკლესიიდან სამხრეთით, 200 მეტრში ხევის წყლის შესაკრებად მცირე რეზერვუარიც აუგია. დღეს როგორც ამ ხევწყალს, ისე რეზერვუარს „სადიაკვნე“ ჰქვია.

ტატიას საყდრის გადამრჩენი, მგონი, აღარავინაა და არავინ უწყის, როდემდე იდგება ტყეში ასე, ეულად ჩემნაირი მოხეტიალე კაცის დასაღონებლად.

როგორც იქნა, ტყიდან გამოვძვერით, მერე არანაკლებ მოხერხებული და გულადი „სუძუკით“ ტრასაზე ჩამოვედით და გზას შეუყევით. გავიარეთ ნაცნობი ახაშენი, ველისცხე, მუკუზანი და **ვაზისუბანში** შევჩერდით.

ძველად, სოფელს **ურიათუბანი** ერქვა, მაგრამ არის ეჭვი, რომ ეს სახელი თურათუბნის, უტიანთუბნის ან ორთუბნის სახეცვლილი ფორმაა.

ვაზისუბნელმა სვიმონ მანუჩარაშვილმა უფროსი თაობისგან გაგონილი ასეთი გადმოცემა მითხრა: **ძველ დროში ხევს გაღმა და გამოღმა მცხოვრებ სოფლელებს ერთი მცირე მიწის გაყოფაზე ისეთი ცხარე კამათი მოსვლიათ, რომ ლამის ერთმანეთი დაუხოცავთ. ამ დავასა და გაწევ-გამოწევას მეზობელი სოფლიდან მოსული კაცი შესწრებია და ორი უბნის მოქიშპეებისთვის ასე უთქვამს — თქვე მამაცხონებულებო, ერთი ბეწო მიწა რა ურიებივით ვერ გაგიყვიათო.** ურიებს ძველ დროში ყველა ჩამომავლობის ურწმუნო ადამიანებს ვეძახდითო, — ასე დაასრულა თხრობა მანუჩარაშვილმა.

ტოპონიმის ხალხური ახსნა უმეტეს შემთხვევაში სანდო არ არის ხოლმე. სარწმუნო ის უფროა, რომ ჭერემ-ველისციხის დიდ საქარავნო და სავაჭრო ოლქად ჩამოყალიბებას სომეხი და ებრაელი ვაჭრების იმ მცირე ახალშენების გაჩენაც მოჰყვებოდა, რომელთაც მერე მკვიდრი მოსახლეობაც შეუერთდებოდა.. მათ ურწმუნოებაზე როგორ უნდა მოგიბრუნდეს ენა, როცა ვაზისუბანი შემოგარენში სხვადასხვა ეპოქის 21 ეკლესია დგას. ბუნებრივია, ყველას გადაღებას ვერ მოვახერხებდით და ამიტომ მხოლოდ გამორჩეული ძეგლები შემოვიარეთ. თავდაპირველად, ადრეშუასაუკუნეების ტაძრებს ვეწვიეთ. ერთი მათგანი — სამეკლესიანი „წმინდა გიორგი“, რომელსაც გვერდითი ეკლესიები თითქმის აღარ შემორჩენია, **სამკარიანი ეკლესიის** სახელითაა ცნობილი. **VI-ის ეს ტაძარი სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთი უბანში დგას და ნაგებია სხვადასხვა ზომის (შიგნით მომცრო, გარეთ მოზრდილი) რიყის ქვით. წყობის თარაზულობის დასაცავად ცალკეულ მონაკვეთებში საფანელად წვრილი კლდის ნატეხებია ჩაყოლებული. გადარჩენილი ცენტრალური ეკლესიის სიგრძე 12,5 მეტრია, ხოლო სიგანე ამ ეპოქის ეკლესიებისთვის მოულოდნელად დიდია — 6 მეტრი.** მიუხედავად ამისა, ტაძარი მაინც სიმაღლეზეა ორიენტირებული. ნაგებობაში ადრე შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელ კონსტრუქციულ ფორმებს ვხვდებით: არქიტრავული შესასვლელი ოდნავ შემაღლებული საკურთხევლის იატაკი, კონქის, თაღებისა და სარკმლების ნალისებრი შემოწერილობა, სუსტი განათება... როგორც უკვე ითქვა, სამეკლესიანი ტაძრიდან, ასე თუ ისე, ცენტრალური ეკლესიაა გადარჩენილი. სამხრეთის ეკლესია და დასავლეთის გარშემოსავლელი სრულიად მოშლილია, ხოლო ჩრდილოეთ ეკლესიიდან მხოლოდ მისი აღმოსავლეთ ნაწილის — სამკვეთლოს კედლები დგას.



ვაზისუბნის 3-კარიანი „წ.გიორგი“

VI საუკუნის კიდევ ერთი ტაძარი, ოღონდ ბანკ „ქართუს“ მიერ აღდგენილი, სოფლის ცენტრშია და მისი მშვენებაა. ეს არის **ღვთისმშობლის მიძინების (სიონი) სამნავიანი ეკლესია**, რომელსაც სამი მხრიდან გარშემოსავლელიც აქვს. გარშემოსავლელის სამხრეთისა და ჩრდილოეთის დერეფნები აღმოსავლეთით აფსიდებით სრულდება, რაც ორ დამატებით სამლოცველოზე მიგვანიშნებს. გარშემოსავლელის ჩათვლით ერთიანი ტაძარი სიგრძეში 22,5, ხოლო სიგანეში 17,3 მეტრია. უშუალოდ სამნავიანი ეკლესია შიგნით, შესაბამისად, 16 და 8,7 მეტრია. გარშემოსავლელისა და ძირითადი ეკლესიის საზიარო კედლებზე მიდგმულია 17 პილასტრა, რომელიც ყრუ დეკორატიულ თაღებს იკავებს (გარშემოსავლელში გაჩერებულს წალენჯიხის უფრო გვიანდელი, გუმბათიანი ეკლესია მახსენდება). როგორც ძირითად ეკლესიას, ისე მთლიან ტაძარს სამი შესასვლელი აქვს. მათგან ძირითადია გარშემოსავლელის სამხრეთ დერეფანში ჩადგმული საზეიმო, სამთაღიანი კარიბჭე (ცენტრალური თაღი შედარებით მაღალია). ძირითადი საყდრის შიდა სივრცე ორი სვეტით და საკურთხევლის აბსიდის მხრებით 3 ნაწილად ანუ სამ ნავადაა დაყოფილი. გვერდითი ნავები, ცენტრალურთან შედარებით, სამჯერ ვიწროა და აღმოსავლეთით სრულდება უაფსიდო სადიაკვნოთი და სამკვეთლოთი, რომლებიც საკურთხევლისგან იზოლირებულია. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში რიყის ქვით ნაგები ემბაზია. 12 მეტრი სიმაღლის ცენტრალური ნავი კოლფა კამარითაა გადახურული, გვერდითი ნავები კი ნალისებრი კამარებით. ნალისებრი ყოფილა სადიაკვნოსა და სამკვეთლოს კარებიც, მაგრამ ასწლეულების შემდეგ, მათთვის შეისრული ფორმა მიუციათ. X საუკუნეში აღმოსავლეთის სარკმლის თავში შირიმის ქვის რელიეფური, ქუსლიანი წარბი ჩაუდგამთ. სამნავიანი ტაძრის განათება, უმთავრესად, დამოკიდებულია გრძივი კედლების ძალიან მაღალ სარკმლებზე.

გურჯაანის „ტატიას საყდარი“: ხედი აღმოსავლეთიდან და ინტერიერის ფრაგმენტი

ფასადებიდან ყველაზე სახიერი სამხრეთის კედელია, რომელიც სამთაღა კარიბჭით იწყება და ზევით ცენტრალური ნავის უცნაური დეკორატიული თაღნარით სრულდება. შენობა აგებულია VI საუკუნის კლასიკური კახური სტილით.

VI საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში ე.წ. უმეფობის ხანა დაიწყო და სპარსეთი ნესტორიანობის ან სულაც მაზდეანობის გავრცელებით გვემუქრებოდა, ჩვენი შორეული წინაპრები და მეტადრე კახეთის მოსახლენი ამ მუქარას დიდი ქრისტიანული ტაძრების აგებით პასუხობდნენ.

ვაზისუბნის სიონის შემდეგ ჯერ გვიანი შუასაუკუნეების „**ნათლისმცემლის კომპლექსი**“ და დარბაზული „**წმ. გიორგი**“ შემოვიარეთ, მერე კი წილიანახევის მიმართულებით ახლახან გაყვანილ, ტყის პირობაზე მართლაც საუცხოო გზას დავადექით.

ვიდრე დანიშნულ პუნქტს მივაღწევდეთ, იმ შთაბეჭდილებისა და ხედვის გაზიარება მსურს, რასაც ხუთი სოფელი: ვაზისუბანი, შაშიანი, კალაური, ვაჩნაძიანი და აკურა ტოვებს.

წარმოვიდგინოთ ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიმართული მშვილდი. რომლის ცენტრში, უმაღლეს წერტილში კვირიკეს მთა და სამების ეკლესიაა. ნახევარწრის ერთ ბოლოში ვაზისუბანია, მეორე ბოლოში — აკურა. ეს დაახლოებით იგივე სისტემაა, როგორიც ქვემო ქართლში ჩხიკვთას სამების მიდამოებშია, ოღონდ აქ გაცილებით დიდ მასშტაბებთან გვაქვს საქმე. ამასთანავე, ეს მშვილდი მიკროქვეყნის ცენტრისკენ — ჭერემისკენ იყურება, საიდანაც ჩრდილოეთის მიმართულებით რამდენიმე გზა მიემართება. მთავარი გზა ზეგაანსა და ველისციხეში ჩადის, მეორეხარისხოვანი და საურმე გზები — ვაზისუბანში, შაშიანსა და კალაურში. გომბორის ქედის ეს კალთები ადრეული ხანის ისეთი ძეგლებითაა მოფენილი, რომ თვალს არ დაუჯერებ.

მონასტერთა ეს სისტემა წმინდა ნინოს ამ მხარეში მოგზაურობისა და ქადაგების გამოძახილია. ვინ ჩაუყარა აქ საფუძველი ადრე შუასაუკუნეების ეკლესიებს, დაუდგენელია, მაგრამ ის, რომ IX საუკუნიდან მონასტერთა სისტემას დასაბამი დიდმა ილარიონ ქართველმა მისცა, უდავოა.

... ვაზისუბნიდან სამხრეთით, წილიანახევისკენ მივეშურებით...

ავტორის ფოტოები

ვაზისუბნის „წმ. გიორგი“ და „ნათლისმცემელი“

1.ივივეა, რაც კნოპი
2. ბობ მარლის მშობლიური ქვეყანა
3. კანის კეთილ-თვისებიანი სიმსივნე
4. ფეხ-ბურთის მატჩის ნახევარი
5.კვერცხის გულის შემცველი საღებავი
6.ლიტერ. ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი
7.ხინკლის-მაგვარი კერძი რუსეთში
8. მდინარე გერმანიაში
9. მეხ-სიერების დაკარგვა
10. ხე-ლოვნურად გამოწვეუ-ლი ძილი
11. ოს-ტატობის ხარისხი ძიუდოში
12. განხეთ-ქილება ეკლესიაში
13. გერმანელ ნაცისტთა ბელადი
14. ავსტრი-ელი პოეტი
15.კაპიტა-ლიზმამდე არსებული წყობილება
16.უხუ-ცეს-თა საბჭო ძველ იუდეაში
17. ჰო-ლივუდის ვარსკვლავი მია ...
18. მწვანილად ხმარებული მცენარე
19.უფლის კვართთან დაკავშირ. წმინდანი
20. რეკორდების წიგნი
21. კომპიუ-ტერული პროგრამა
22. საჭმელი სოკოს სახეობა
23.ლამის საპირისპი-რო სიტყვა
24. ჩუქჩების საცხოვრებე-ლი ქოხი
25. მართ-კუთხა სამ-კუთხედის გვერდი
26. შტერი, ჩერჩეტი
27. კომ-პოზიტორი ... ხაჩა-ტურიანი
28. ძველებური საწერი მასალა
29. სადილის ჭურჭლის კომპლექტი
30. უნგრული სამზა-რეულოს ტრადიციული კერძი
31. წმინდა ნინოს დედა
32.გერმ. რეჟისორი ... ვენდერსი
33. უგონო მდგო-მარეობა
34. ქართული მხატვრული ფილმი
35. მონ-ეტის წინა მხარე
36. სპი-რალურად დახვეული მავთული
37. იტალიის საფეხბურ-თო კლუბი
38. ხალიჩის ძველქართ. სახელი
39. ახლად მოჭრილი წკეპლა
40. სასუფრე ყურძნის ჯიში დიდი და გრძელი მარცვლე-ბით
41.მოხარშუ-ლი ცომის წვრილი ნაჭრები
42. სომხური ვვარების წინსართი
43. იგივეა, რაც ფერ-მენტი
44. მსუბუქი თვლემა
45. ზღაპრული შინაარსის ოკავი
46. დიდი ზომის მღრღნელი
47. გაზაფ-ხულის ყვავილი
48. პატარა გამოქვ-აბული კლდეში
49. ისრის წვერი
50. კუნთის ანთება
51. ამერიკელი დრამა-ტურგი
52. შხამიანი გომბეშო
53. პანტო-მიმის მსახიობი
54. შარდის ბუშტის ანთება
55. ტბა ალას-კაზე
56. ებრაელ. რეპატრიაცია ისტორიულ სამშობლოში
57. რომის პაპის გვირ-გვინი
58.სერბი პოეტი და საზოგადო მოღვაწე

ტანსაცმელი „მაკდონალდსისგან“

კომპანია „მაკდონალდსმა“ ტანსაცმლისა და საოჯახო ნივთების საკუთარი კოლექციის გამოშვება დაიწყო. ამბობენ, რომ ახლა „ბიგმაკის“ ჩაცმაც შეიძლება, თემატური პროდუქცია კი ცოტა ხნის წინ სტოკჰოლმში წარადგინეს და შვედურ ონლაინმაღაზიაშიც გამოჩნდა. „მაკდონალდსის“ კოლექციაშია მაისური და შარვალი, ლაბადა, რეზინის ჩექმა, პლედი, შპალერი... ყველა სიახლის განმასხვავებელი ნიშანი კი პრინტია. კოლექცია imlovingit24-ის კამპანიის ფარგლებში ჩაეშვა, რომელიც ფასტფუდის ბრენდმა მსოფლიო მასშტაბით განახორციელა და აქციები სტოკჰოლმში, მადრიდში, სიდნეისა თუ ლონდონში მოაწყო.

წლის გამოჩენილი ქალბატონები

მამაკაცებისთვის განკუთვნილმა ავტორიტეტულმა ჟურნალმა 2015 წლის გამოჩენილი მანდილოსნები გამოავლინა. პრესტიჟულ რეიტინგში 99 ქალი მოხვდა, რომლებიც კინოინდუსტრიაში, შოუბიზნესში, სპორტში, მეცნიერებასა და კულტურის სხვა სფეროში მოღვაწეობენ. სიის თავში ბრიტანელი მსახიობი, საზოგადო მოღვაწე, HeForShe-ს სახე ემა უოტსონი აღმოჩნდა და მასთან ერთად, წლის გამოჩენილი ქალების ტოპ-ათეულში შევიდნენ რონდა როუზი (სპორტსმენი), კიმ კარდაშიანი (ტელეწამყვანი), ტაილორ სვიფტი (მომღერალი), ლინდსი ვონი (სპორტსმენი), ელიზაბეტ ჰოლმსი (მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი ქალი, კომპანია Theranos-ს ხელმძღვანელი), ბიონსე (მომღერალი), ამალ ალამუდინი-კლუნი (უფლებადამცველი), ჯენიფერ ლოურენსი (მსახიობი), სერენა უილიამსი (ჩოგბურთელი). გამოჩენილი ქალების რეიტინგი ჟურნალმა პირველად შეადგინა, მანამდე კი ყოველწლიურად პლანეტის ყველაზე სასურველი მანდილოსნების რეიტინგს აქვეყნებდა.

ვაკანსია — ბორდელის შემმოწმებელი

გერმანულმა სოციალურმა ქსელმა Kaufmich.com-მა სექსინდუსტრიის წარმომადგენელთათვის კონკურსი გამოაცხადა უჩვეულო ვაკანსიაზე — წარმატებულ კანდიდატს მიანდობენ სექსმომსახურების უსაფრთხოების, სისუფთავის, ჰიგიენის სტანდარტებისა და მომსახურების ხარისხის შემოწმებას. როგორც საიტი იუწყება, კონკურსში გამარჯვებულის მოვალეობაში შევა სექსუალური კონტაქტები სხვადასხვა ბორდელის „თანამშრომლებთან“, აუცილებელ პირობად კი მხოლოდ უმაღლესი განათლებაა მითითებული. გერმანიაში პროსტიტუცია 2002 წლიდან ოფიციალურადაა ნებადართული, სექსმომსახურების სფეროში 400 ათასამდე ქალია (როგორც გერმანელები, ასევე უცხოელები) დასაქმებული, ამ ბიზნესის წლიური ბრუნვა კი დაახლოებით 6 მილიარდი ევროა.

ჩინოვნიკი ჰობის გამო დაითხოვეს

ჩინეთის კომუნისტური პარტიის დისციპლინურმა ორგანომ პროვინცია ხენანის ადმინისტრაციის უფროსი თანამდებობიდან იმის გამო გაათავისუფლა, რომ გატაცებული იყო ფოტოგრაფიით — ცინ იუხაის ჰობი აკვიატებად ექცა და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაზეც უარს ამბობდა, საქმე იქამდე მივიდა, რომ დააბრალოს, თითქოს ჩინოვნიკი ბიზნესმენებს ფოტოგრაფიის კონკურსების ჟიურის მოსყიდვას სთხოვდა, სანაცვლოდ კი, ბიზნესპრივილეგიებს სთავაზობდა. არადა, საჯარო მოხელის წარმატებები თვალშისაცემი იყო — მან რამდენიმე გამოფენა მოაწყო საზღვარგარეთ და კრიტიკოსების მოწონებაც დაიმსახურა.

სუდოკუ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

1		8					2	
		6	4					
	4			9		1		
			3		6	8		
	1	7				6	4	
		4	7		5			
		1		5			6	
					3	5		
	8					7		4

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		4					7	
		5		3				
	8		9			6		2
		3	1				2	4
	2						1	
1	7				3	8		
8		7			9		5	
				1		2		
	3					9		

ᲠᲗᲣᲚᲘ

		9			4		3	2
2			3					
				9	8	1		
9		6			3			4
	7						6	
3			6			2		9
		4	5	6				
					1			7
5	1		8			9		

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

7	2				5		3	8
		3			8		7	
	4							
1			8	6	2			7
2			1	3	7			5
							4	
	8		6			7		
3	7		4				8	2

ეჭვიანობა იმპოტენციას იწვევს

ადამიანის ჯანმრთელობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს არა მხოლოდ არასწორი კვება თუ მავნე ჩვევები, არამედ ზოგიერთი ემოციაც. ცოტა ხნის წინ ავსტრიაში სპეციალური გამოკვლევა დასრულდა, რომლის დროსაც, ხუთი წლის განმავლობაში, ორი ათასამდე ადამიანს აკვირდებოდნენ. კვლევის შედეგებით განისაზღვრა ადამიანის ჯანმრთელობისთვის ხუთი ყველაზე მავნე ემოცია: პირველ რიგში, ჯანმრთელი ცხოვრება „შურიანობის შეტევის“ გარეშე უნდა მიმდინარეობდეს. აღმოჩნდა, რომ იმ ადამიანებში, რომლებიც მიდრეკილნი არიან ამ გრძნობისკენ, 2,5-ჯერ მეტია მიოკარდის ინფარქტის რისკი; არანაკლებ დამღუპველი გრძნობა ყოფილა ეჭვიანობა — ასეთი ადამიანების ორგანიზმში ირღვევა ჰორმონალური ბალანსი, შედეგად, ეჭვიან კაცებში ტესტოსტერონის გამომუშავება მცირდება, რასაც საბოლოოდ, პოტენციის დარღვევამდე მივყავართ; ადამიანი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეცეს თვითგვემას, რადგან დანაშაულის გრძნობის ტვირთი მნიშვნელოვნად ზრდის ონკოლოგიური დაავადებების განვითარების რისკს. ვისაც გამუდმებით აწუხებს დანაშაულის გრძნობა, იძულებულია, უფრო ხშირად შეებრძოლოს გაციებასა თუ ინფექციურ დაავადებებს; სწავლულები არც საკუთარი თავის შეცოდებას გვირჩევენ, რადგან ეს ემოცია ღვიძლის დაავადებების მაპროვოცირებელი ყოფილა — ამ დროს ორგანიზმში იზრდება აცეტილჰოლინას, ე.წ. სისუსტის ჰორმონის გამომუშავება, იქმნება პრობლემები საკვების მიღებასთან დაკავშირებით და სისხლში შაქრის დონე ეცემა. ჯანმრთელობისთვის ყველაზე საშიში ემოციების ხუთეულს სიძუნწე ასრულებს — ძუნწი ადამიანების ყველაზე აქტუალური პრობლემა საჭმლის მონელების დარღვევაა, აგრეთვე მათ შეიძლება ტანჯავდეს ბულემია ან ანორექსია.

ყავა და ლუდი დნმ-ს ცვლის

მეცნიერებმა თელ-ავივის უნივერსიტეტიდან გაარკვიეს, რომ ყავა და ლუდი დნმ-ის იმ ნაწილს ცვლის, რომელიც სიმსივნესა და დაბერებას უკავშირდება. კერძოდ, კოფეინი ამოკლებს, ქარვისფერი სასმელი კი პირიქით, აგრძელებს ტელომერებს — ქრომოსომების დაბოლოებებს, რომელიც დნმ-ის დაცვაზეა პასუხისმგებელი. ასეთ დასკვნებამდე მკვლევარები სხვადასხვა საფუარის 6 ათასამდე შტამის შესწავლის შედეგად მივიდნენ. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ საკითხის უფრო ღრმა შესწავლამ, შესაძლოა, სიმსივნის წარმოშობის ბუნებაც ახსნას, რაც სწორედ ტელომერების დამოკლებასთან ასოცირდება. ცნობილია, ონკოლოგიური დაავადება იმის გამო ჩნდება, რომ ტელომერები მოკლდება და შესაძლოა, ამ პროცესს ხელს უწყობდეს დიდი რაოდენობით ყავა, ასევე სტრესი და ორგანიზმის დაბერება. ქაფიანი სასმელი კი, პირიქით, აგრძელებს ტელომერებს და ალუმინის ტოქსიკურ ეფექტსაც ამცირებს, რომელიც ალცჰეიმერის დაავადების ერთ-ერთ სავარაუდო მიზეზად მიიჩნევა.

Facebook-ის გამო საგიჟეთში მოხვდა

ამერიკელმა ელექტრიკოსმა, შეინ ტუსკმა სცადა, შეემოწმებინა, როგორ მუშაობს შესაძლო სუიციდის თაობაზე ინფორმირების სისტემა Facebook-ში და შედეგად ფსიქიატრიულ კლინიკაში 72 საათის გატარება მოუწია. მამაკაცმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ სახალხოდ თავის ჩამოხრჩობა ჰქონდა გადაწყვეტილი, Golden Bridge-ს ხიდზე, რასაც ბანკთან პრობლემებით ხსნიდა. ტუსკის ერთ-ერთმა მეგობარმა განცხადება Facebook-ზე გაავრცელა და მალე ელექტრიკოსი პოლიციაში მოხვდა, სადაც თანამშრომლებს ამაოდ უხსნიდა, რომ სინამდვილეში, ექსპერიმენტის ჩატარება ჰქონდა გადაწყვეტილი და თვითმკვლელობას არც აპირებდა. შედეგად, სამართალდამცავებმა სამი დღით იგი ფსიქიატრიულ კლინიკაში მოათავსეს, უამრავი კლინიკური ტესტიც ჩაუტარეს, აუღეს ანალიზი ტუბერკულოზზე, შიდსსა და სხვა დაავადებებზე. როცა დარწმუნდნენ, რომ მამაკაცს საგანგაშო არაფერი სჭირდა, გაათავისუფლეს. საქმე ის გახლავთ, რომ 2011 წელს Facebook-ში ამერიკელი მომხმარებლისთვის ინფორმირების სპეციალური სისტემა ამოქმედდა — თუ შემთხვევით ქსელში ვინმე საგანგაშო გზავნილს გაზიარებს, ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია, ის ქსელის საგანგებო სამსახურს გადაუგზავნოს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

7	8	6	1	5	2	9	4	3
2	5	4	3	8	9	7	1	6
1	3	9	7	6	4	8	5	2
6	7	5	4	3	8	2	9	1
4	2	3	9	1	7	6	8	5
9	1	8	6	2	5	4	3	7
5	6	2	8	9	3	1	7	4
3	9	7	2	4	1	5	6	8
8	4	1	5	7	6	3	2	9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

4	6	5	1	3	8	2	9	7
3	2	9	7	6	5	1	8	4
8	7	1	4	9	2	6	5	3
2	5	8	9	4	3	7	6	1
7	3	6	2	5	1	8	4	9
1	9	4	6	8	7	5	3	2
5	4	7	8	2	9	3	1	6
6	1	3	5	7	4	9	2	8
9	8	2	3	1	6	4	7	5

ᲠᲗᲣᲚᲘ

3	2	6	8	7	5	4	1	9
1	7	9	2	6	4	8	5	3
5	4	8	3	1	9	6	2	7
9	8	5	1	2	3	7	6	4
7	6	2	4	9	8	5	3	1
4	3	1	7	5	6	2	9	8
2	9	7	6	8	1	3	4	5
6	5	4	9	3	7	1	8	2
8	1	3	5	4	2	9	7	6

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

8	1	3	7	6	9	5	2	4
2	9	7	4	8	5	6	3	1
6	5	4	3	2	1	9	8	7
7	8	9	6	1	3	4	5	2
5	6	2	9	4	8	1	7	3
3	4	1	5	7	2	8	9	6
4	7	8	2	9	6	3	1	5
1	3	6	8	5	7	2	4	9
9	2	5	1	3	4	7	6	8

მე-10 გვერდი: 1. ვარციხე; 2. ალური; 3. ცივილიზაცია; 4. ხაკი; 5. ჭინჭარი; 6. იადონი; 7. ჭინკა; 8. რამპა; 9. ბურვაკი; 10. ბროკატელი; 11. ონონი; 12. ლიტაო; 13. ადენომა; 14. ოსტი; 15. რეტი; 16. ფრაუ; 17. ოლბია; 18. რინგი; 19. ტოტია; 20. ფარაონი; 21. ოზონი; 22. იაგდტაში; 23. მის; 24. კანტაბილე; 25. ანიკა; 26. გერბერა; 27. ტემლაკი; 28. აკიმი; 29. ალვანი; 30. მიხაი; 31. კარამბოლი; 32. კიანუ; 33. ოინი; 34. გლორია; 35. ატაცი; 36. იტი; 37. სკა; 38. კიი; 39. ალიბი; 40. ლაიმი; 41. კაფე; 42. ია; 43. ვიგინდარა; 44. იდეალი; 45. სი; 46. ხვალ; 47. ფიალა; 48. კეი; 49. „აიდა“; 50. გრიმო; 51. ედიტ; 52. აისი; 53. ვიზიტი; 54. ადმირალი; 55. კუ; 56. სან; 57. ბუ; 58. ვილა; 59. რალი; 60. რუ; 61. მერაბ; 62. პანტა; 63. ნიუ.

მე-12 გვერდი: 1. კირილიცა; 2. ანდანტე; 3. კლასიკა; 4. რეტორტა; 5. ლიოვი; 6. ნიკოტინი; 7. აბრაკადაბრა; 8. ტატო; 9. კასტრო; 10. უორჰოლი; 11. თივა; 12. კარატი; 13. იდილია; 14. აქილია; 15. იურთი; 16. ქედა; 17. ავარა; 18. ტიკი; 19. სკოტი; 20. „ლელა“; 21. პინა; 22. ჰეროდოტე; 23. კაპონე; 24. ნადი; 25. ჰობი; 26. ალალი; 27. ობი; 28. „ფანტა“; 29. ლებარდე; 30. ლეფსვერიძე; 31. ლანოლინი; 32. რაფა; 33. რიწა; 34. „აფონია“; 35. ბალატონი; 36. ერმიტაჟი; 37. მნე; 38. წერაქვი; 39. დარი; 40. სიროკო; 41. ბრნო; 42. რიფსიმე; 43. რვალი; 44. რაი; 45. ტროა; 46. აქატი; 47. ორესტე; 48. რენეგატი; 49. ლაგი; 50. ტიტიკაკა; 51. სან; 52. ტრიადა; 53. მაო; 54. ბეში; 55. აია; 56. ეფენდი; 57. უნგარო; 58. ტიტანი; 59. აირანი; 60. ოე; 61. დოფინი; 62. უძო; 63. აგა; 64. კარამელი; 65. ოინი; 66. ონეგინი; 67. ერატო; 68. ჟინი; 69. ფენი; 70. რაიკინი; 71. ოყნა; 72. ელა; 73. ნო; 74. რკინა; 75. ნასა; 76. ნარა; 77. არაკი; 78. ფა; 79. ოთარ; 80. ნაი; 81. „კონკია“; 82. ალან; 83. „ოფი“; 84. ონო; 85. იო; 86. ამაო.

1. დაბალი უჯრებიანი ავეჯი თეთრეულისთვის
2. აშშ-ის შტატი
3. მხარე იმერეთში
4. ბუღი, სიმხურვალე
5. უნებლიე შეცდომა
6. ცხენზე დასაჯდომი მოწყობილობა
7. მსუბუქი არშიყი, ტრფიალი
8. მთელის შემადგენელი ნაწილი
9. გაზაფხულის ყვავილი
10. მტაცებელი ცხოველი
11. ტრიგონომეტრიული ფუნქცია
12. „ბითლზის“ მშობლიური ქალაქი
13. მარადიული სიჭაბუკის ქალღმერთი
14. ტყავის ჭურჭელი ღვინისათვის
15. სახმარად უვარგისი და ნედლეულისთვის ვარგისი მასალა
16. ძველეგვიპტელთა წმინდა ფრინველი
17. სირაქლემას მსგავსი ფრინველი
18. ლოცვის წიგნების დასადები მაგიდა ეკლესიაში
19. მშვილდით სასროლი ჯოხი
20. საკუთარი სიმღერების ავტორი-შემსრულებელი
21. იესო ქრისტეს ნათლია
22. ჭადრაკის ფიგურა
23. ფრედი მერკურის ჯგუფი
24. ავტომობ. ბუფერი
25. ლაბორატ. ჭურჭელი
26. ინდონეზიის დედაქალაქი
27. „კილერი „მატრიცაში“
28. ფრანგი მსახიობი
29. ლეგენდარული ინგლისელი ფეხბურთელი
30. იტალიის დედაქალაქი
31. „თეთრ ოქროდ“ წოდებული მცენარე
32. ჩრდილოეთ ამერიკაში მცხოვრები ინდიელი ხალხის ჯგუფი
33. აკორდის ბგერების ტეხილი შესრულება
34. სოფელი ყვარლის რაიონში
35. გასეირნება ბავშვის ენაზე
36. ხორცის პროდუქტების ბრაზილიური firma
37. ათენის პოლიტიკური მოღვაწე
38. მიმართვა პოლონ. მამაკაც.
39. ქართული სამშენ. ქვა
40. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში
41. სამეურნეო მუშაკი
42. ალპინისტის ფეხსაცმელი
43. პატარა საოპერო არია
44. ველური ვარდი
45. გრძელი დანა, რომელსაც ლათინურ ამერიკაში შაქრის ლერწმის საჭრელად
46. პალმის ერთ-ერთი სახეობა
47. მდინარე კენიასა და ტანზანიაში
48. დეკორატიული ყვავილი
49. ქიმიური ელემენტი, მეტალი
50. ედმონ დანტესის ციხე
51. შიკრიკი, მაცნე ძვ. ქართულში
52. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
53. დილის ჰანგი ტრუბადურთა პოეზიაში
54. ზღვის სიღრმე 200-ზე ქვემოთ
55. გასართობი სანახაობა
56. ჭადრაკის მფარველი ქალღმერთი
57. ბერძნული ანბანის I ასო
58. კოლხეთის ანტიკური სახელწოდება
59. პინგვინის ერთ-ერთი ჯიში
60. პრივილეგირებული იაპონელი სამხედრო
61. ვიოლინოს მსგავსი საკრავი
62. მდინარე იტალიის დედაქალაქში
63. პეპი გრძელიწინდას მეგობარი გოგონა
64. XVIII ს-ის ფრანგი ფერმწერი
65. საბანკო შეტყობინება
66. მდინარე ყაზახეთსა და ჩინეთში
67. სინოტივე, სისველე
68. კომპოზიტორი ... ხაჩატურიანი
69. ჩეხეთის ეროვნული გმირი ... ჰუსი
70. ვულკანური ქანი
71. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
72. გამოჩენილი ჩეხი ფეხბურთელი
73. ძალადობის მფარველი ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
74. ჩრდილოამერიკული შავი დათვი
75. წილი საერთო საქმეში
76. ღამის ფრინველი
77. პიტალო კლდე
78. აერსევსის დედა
79. შეკვარებ. ორგანიზმი
80. მიმართვა ესპანელი მამაკაცისადმი
81. ლითონის მედლის ან მონეტის უკანა მხარე, ზურგი
82. მიმართვა გერმანელი მამაკაცისადმი
83. სართული თეატრში
84. ჰოლივუდის მსახიობი ვივიენ ...
85. გენეტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი
86. იაპონელი თვითმკვლელი მწერალი

მოხუცებს თავშესაფარი გაუხსნეს

სტოკჰოლმში მოხუცთა თავშესაფარი გაიხსნა, რომელიც გეების, ლესბოსელების, ტრანსგენდერებისა და ბისექსუალებისთვისაა განკუთვნილი და ერთადერთია ევროპაში. თავშესაფარს „რეგნბაგენ ჰაუსი“ უწოდეს და იქ 40-მდე ხანდაზმული ცხოვრობს, დასახლების სურვილი კი სექსუალური უმცირესობის კიდევ 95-მა წარმომადგენელმა გამოთქვა. როგორც შვედურ მედიაში აცხადებენ, მსგავსი სახლების მშენებლობა საშუალებას იძლევა, დააკმაყოფილონ მოთხოვნა „ბინების პროფილურ პროექტებზე“, ანუ ისეთ მოხუცთა თავშესაფრებზე, რომელთაც რელიგია, კულტურა, ენა ან სექსუალური ორიენტაცია აერთიანებს.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.